საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 31 ოქტომბერი, 2015 წელი.

№205 (7850)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ნაციონალთა თავხედობა ყოველგვარ საზღვარს გასცდა!

საქართველოს გუშინდელი ნაპრეზიდენტალი, ამჟამად უკრაინაში ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ღია ტექსტით აცხადებს, რომ გეგმავს და კოორდინაციას უწევს საქართველოში ანტიკონსტიტუციურ მოქმედებებს, ამის თაობაზე იგი პირადად ელაპარაკა ნაციონალური პარტიის გენერალურ მდივანს გიგა ბოკერიას და „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას, რომლებიც ადასტურებენ ამ საუბრის ნამდვილობას.

ამ ადამიანებისა და საერთოდ ნაციონალთა თავხედობა და უტიფრობა ყოველგვარ საზღვარს გასცდა – აშკარაა ქვეყანაში არეულობის შექმნისა და ამ გზით კანონიერი ხელისუფლების დამხობის უხეში მცდელობა.

ახლა ის დროა, „ოცნების“ ხელისუფლებამ ქართველ ხალხს, მთელ საქართველოს დაანახვოს, რომ არც უნიათოა, არც უუნაროა და, მით უმეტეს, არც დოყლაპიაა, როგორც ამას ნაციონალები თავიანთ დამქაშებთან ერთად მთელი მსოფლიოს გასაგონად დღედაღამ გაჰყვირიან!

ნამდვილად დროულია აგრეთვე, თუ ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო ნაციონალთა ამ ანტიკონსტიტუციურ, ანტისახელმწიფოებრივ განზრახვებს „ნიუ-იორკ ტაიმსისა“ და „ვაშინგტონ პოსტის“ საშუალებით გააცნობს ჩვენს ამერიკელ პარტნიორებსაც, რომელთაგან ზოგ-ზოგთ რატომღაც გულზე დღემდე ახატიათ თავიანთი ბნელი წარსულისკენ მაცქერალი ნაციონალები.

დაუშვებელია, უცხო ქვეყნის მაღალჩინოსანი ერეოდეს ქვეყნის შიდა პოლიტიკაში და გეგმავდეს რაიმე ტიპის არეულობას

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა **გიორგი მარგველაშვილმა** გუშინ გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადა.

„მინდა ყველას შეგახსენოთ და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ქართველი ხალხის მიღწევა – არჩევნების გზით ხელისუფლებების ცვლაა და ეს კურსი შეუქცევადია. რევოლუციური სცენარების ეპოქა საქართველოში დამთავრდა, ხოლო ის, ვინც ამ გზით გეგმავს პროცესებს, მთლიანად მოწყვეტილია საზოგადოებას და პოლიტიკურ რეალობას. არაერთხელ მითქვამს და, სამწუხაროდ, მიწევს გავიმეორო, რომ დაუშვებელია, უცხო ქვეყნის მაღალჩინოსანი ერეოდეს ქვეყნის შიდა პოლიტიკაში და გეგმავდეს რაიმე ტიპის არეულობას“, – განაცხადა მარგველაშვილმა

პრეზიდენტმა პოლიტიკოსებს შეახსენა, რომ ადამიანი, მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უზენაესი ღირებულებაა და ამით თამაში დაუშვებელია.

„კიდევ ერთხელ მოვუწოდებ მოქალაქეებს სიმშვიდისკენ, დარჩნენ კონსტიტუციურ ფარგლებში და არ აყვნენ ავანტიურებს. კიდევ ერთხელ ვადასტურებ, რომ ვრჩები კონსტიტუციური წესრიგის, ადამიანის უფლებების და მედიის დამოუკიდებლობის გარანტად“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

დავიცავთ სამოქალაქო წესრიგს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი მღებრიშვილთან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროს ვახტანგ გომელაურთან სამუშაო შეხვედრა გამართა. მთავრობის მეთაურმა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებისგან მოისმინა ინფორმაცია მიმდინარე პროცესების შესახებ.

ირაკლი ღარიბაშვილი უკრაინულ საიტებზე გავრცელებული სატელეფონო საუბრებით დაინტერესდა. ვახტანგ გომელაურის განმარტებით, გამოძიება დაწყებულია და ჩატარდება ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება. პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს, უზრუნველყონ საზოგადოებრივი წესრიგი.

საქართველოსა და სომხეთის თანამშრომლობის დიდი პერსპექტივები აქვთ

ჩვენ გვაკავშირებს საერთო ინტერესები და თანამშრომლობის დიდი პერსპექტივები, – ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სომეხ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

„საქართველოსა და სომხეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული და მეგობრული ურთიერთობების გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ კეთილმეზობლური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილის განმარტებით, ასევე ისაუბრეს რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობის მნიშვნელობაზე.

საქართველოს პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს საქართველო-სომხეთის მომავალი თანამშრომლობის წარმატებულ განვითარებას. **შეგახსენებთ, რომ სომხეთის პრეზიდენტი მეუღლესთან ერთად სტუმრობდა საქართველოს. ვიზიტის ფარგლებში პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი საქართველოს პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარესაც შეხვდა.**

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ხელისუფლება

ირაკლი ღარიბაშვილი: ვინც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ გეგმავს პროვოკაციას, უმკაცრესად დაისჯება!

შეუძლებელია, არ შეგაძრწუნოს იმ ცინიზმმა და გულგრილობამ, რომელსაც იჩენენ ის პირები, რომლებსაც ოდესღაც ჩვენი ქვეყნის ბედი ებარათ, — ასე გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოდესის გუბერნატორს მიხეილ სააკაშვილს, ეროვნული უშიშროების საბჭოს ყოფილ მდივანს გიგა ბოკერიასა და „რუსთავი-2"-ის გენერალურ დირექტორს ნიკა გვარამიას შორის საუბრების აუდიოჩანაწერებს, რომლებიც გუშინწინ გავრცელდა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ეს არის კიდევ ერთი მაგალითი, რამდენად ამორალურია მათი მიდგომა ზოგადად პოლიტიკის და ქვეყნისა და ხალხის მიმართ.

„ეს ის ხალხია, რომლებიც არბევდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს, ვინც სასტიკად უსწორდებოდა ოპონენტებს, ვინც არბევდა ტელევიზიებს, მათ შორის „იმედს" და სხვებს, ვინც წლების განმავლობაში ბიზნესმენებისა და რიგითი მოქალაქეებისგან ფულის გამოძალვით იყო დაკავებული, ვინც ციხეში შექმნა ისეთი სისტემა, რომელმაც საქვეყნოდ ლაფში ამოსვარა ჩვენი ქვეყნის სახელი. მათ ჯერაც ვერ გააცნობიერეს, რომ საქართველოში დამკვიდრდა დემოკრატია და დღეს ჩვენი სახელმწიფო არის ბევრად უფრო ძლიერი, ვიდრე იყო სამი წლის წინ და იმაზე მეტად ძლიერი, ვიდრე ვინმეს წარმოუდგენია",

— განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უსაფრთხოების სამსახურები 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული სტაბილურობა, თითოეული მოქალაქის სიმშვიდე და უსაფრთხოება.

ირაკლი ღარიბაშვილმა უსაფრთხოების სამსახურებთან გამართული ოპერატიული თათბირის შესახებ ისაუბრა და განაცხადა, რომ ხელისუფლება სიტუაციას სრულად ფლობს და აკონტროლებს. მან მოსახლეობას სიმშვიდის შენარჩუნების თხოვნით მიმართა.

„ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ამაზე მაღლა დავდგეთ და განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, ჩვენ ყველანი ერთად უნდა დავდგეთ და არ დავუშვათ არეულობა. ამას სახელმწიფო არ დაუშვებს. პირობას გაძლევთ, ჩვენი სამართალდამცავები გამოიძიებენ ამ საკითხს ბოლომდე, აღკვეთენ ნებისმიერ შესაძლო პროვოკაციას, რომელიც მიმართული იქნება ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ და მიიღებენ ყველა საჭირო ზომას ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის, მათი უსაფრთხოების, მათი სიმშვიდის უზრუნველსაყოფად. მესმის ეს აღშფოთება, რადგან მეც კი მიჭირს ამ საშინელ ქმედებებზე ემოციების გარეშე განცხადებების გაკეთება, მაგრამ დღეს ყველას თავშეკავება გვმართებს. მინდა, კიდევ ერთხელ მოვუწოდო ყველა მხარეს — საქართველოშიც და საზღვარგარეთაც — თავი შეიკავეთ ამ პროცესის პოლიტიზებისგან და მართლმსაჯულების სისტემაზე ზეწოლისგან. სასამართლო დღეს არის დამოუკიდებელი და თავისუფალი. ამიტომ, მოგიწოდებთ ყველას, მიეცით სისტემას მუშაობის საშუალება. მიეცით საშუალება სასამართლოს და მოსამართლეს, მიიღოს დამოუკიდებელი და ობიექტური გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე",

— განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ირაკლი ღარიბაშვილმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ხელისუფლება უპირობოდ უჭერს მხარს მედიის თავისუფლებას ქვეყანაში და მიუხედავად იმისა, თუ როგორ დამთავრდება „რუსთავი-2-თან" დაკავშირებული სასამართლო დავა, საქართველოს დღეს ჰყავს და ეყოლება თავისუფალი მედია.

„მათ კი, ვინც გეგმავს ჩანაწერების მიხედვით დადგმულ შესაძლო შეთქმულებაში მონაწილეობას, მივმართავ კატეგორიულად — კარგად დაფიქრდით, უნებურად არ აღმოჩნდეთ ბრმა იარაღი ვიღაცის ბინძურ გეგმებში. სახელმწიფო და პირადად მე, ვიღებთ პასუხისმგებლობას, ვიქნებით გარანტი, რომ თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება იქნება დაცული — თითოეული ჟურნალისტის და ნებისმიერი სხვა პროფესიის ადამიანის. ასევე მივმართავ ჟურნალისტებს და ყველას — კარგად დაფიქრდით, რომ არ მოხდეს თქვენი გამოყენება ვიწრო პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად და არ აღმოჩნდეთ, ნებსით თუ უნებლიეთ, ამ პროვოკაციის, შესაძლო შეთქმულების თანამონაწილენი. ვინც დღეს ჩვენს საზოგადოებაში განსხეთქილების შეტანას ცდილობს, ვინც ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ გეგმავს რაიმე პროვოკაციას, ვპირდები, რომ ისინი უმკაცრესად დაისჯებიან. ჩვენ უნდა ავაშენოთ ისეთი ქვეყანა, სადაც პოლიტიკური ლიდერები ვერასოდეს დააპირისპირებენ საქართველოს მოქალაქეებს. საქართველოში დღეს ვერც ერთი ვერ დაგეგმავს პროვოკაციას. ასეთი განზრახვის შემთხვევაში, ყველა ადამიანი იქნება გამოვლენილი და უმკაცრესად დასჯილი. ჩვენ ყველას ერთი სამშობლო გვაქვს, ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად. ამიტომ, დავდგეთ ამ პროვოკაციებზე, სიძულვილზე მაღლა და ერთად შევქმნათ მშვიდობიანი მომავალი",

— განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

მერის პირველი ანგარიში დედაქალაქელების წინაშე

დედაძალაძის მერი დავით ნარმანია საზოგადოების წინაშე მერის რანგში პირველი ანგარიშით წარსდგა. დავით ნარმანიამ ერთი წლის მუშაობის ანგარიში თბილისის მერიაში მოქალაქეების წინაშე წარადგინა. თბილისის მერის ანგარიშში ასახულია 13-14 ივნისის სტიქიის პერიოდში გაწეული საქმიანობაც.

დავით ნარმანიას თქმით, პრეზენტაციაზე წარმოდგენილია მერიის სამსახურებისა და გამგეობების მიერ 2014 წლის აგვისტოდან 2015 წლის აგვისტოს ჩათვლით წარმოებული სამუშაოები.

დედაქალაქის მერის ინფორმაციით, **მათ წელს პომპეზური პროექტები არ გაუკეთებიათ, მაგრამ დედაქალაქის უბნებში განახორციელეს ისეთი პროექტები, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ გაკეთებულა. დედაქალაქის მერმა ხაზი გაუსვა, რომ მერიის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანდაცვა და სოციალური პროგრამები, რისთვისაც ბიუჯეტიდან 200 მილიონი ლარია გათვალისწინებული. მეორე პრიორიტეტია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, კერძოდ, გზების დაგება, შენობა-ნაგებობების გამაგრება. ნარმანიამ აღნიშნა, რომ ეს პრიორიტეტები დარჩება მომავალ წელსაც.**

მან საგზაო სამუშაოებზე საუბრისას აღნიშნა, რომ 2014 წლის პირველი ორი კვარტლის მონაცემებთან შედარებით, წელს ამავე პერიოდის განმავლობაში არსებითად მეტი გზის საფარი დაიგო, განხორციელდა საინჟინრო ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, ავარიული საცხოვრებელი შენობების კაპიტალური გამაგრება. კერძოდ, მერის განმარტებით, 45 000 მეტრ კვადრატზე დაიგო გზის საფარი, რაც 17%-ით მეტია, ვიდრე წინა წელს მათი წინამორბედების მიერ, ასევე მოხდა დაზიანებული ქვაფენილების აღდგენა. მთლიანად ერთ მილიონ კვარდატულ მეტრზე დაიგო და შეკეთდა გზა, რაც საკმაოდ დიდ სამუშაოებს წარმოადგენს და ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი სამუშაოები შესრულდა და ამ მოცულობის გზები მანამდე არ შეკეთებულა.

მერმა ასევე ისაუბრა, საინჟინრო ნაგებობების და სხვა ობიექტების მშენებლობაზე. ნარმანიას თქმით, **წელს 11 მსხვილი ობიექტი გაკეთდა. მან ისაუბრა მეტეხის ხიდთან დაზიანებული ხიდის აღდგენაზეც და აღნიშნა, რომ ამ ხიდს 30 წლის განმავლობაში რაიმე ჩარევა აღარ დასჭირდება. ნარმანიას თქმით, უახლოეს პერიოდში ასევე გაიხსნება ახალი ხიდი, რომელიც თბილისის შემოსავლელში აღმაშენებლის ძეგლთან მდინარე დიღმულაზე კეთდება. მისივე თქმით, ამ ხიდის გამო, ორთვენახევარია საგზაო სატრანზორტო გადაადგილება არ ხდება. ნარმანიას თქმით, მათ კაპიტალურად ჩამოასხეს ბეტონის ხიდი, ჩამოისხა ასევე ხიდის კოჭები. ნარმანიამ ისაუბრა იმაზეც, რომ თბილისში ხიდების მდგომარეობა ძალიან ავარიული იყო და ლაბორატორიული დასმარების შედეგად 6 საინჟინრო ნაგებობაზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.**

ნარმანიას ასევე ისაუბრა ავარიული სახლებისა და ნაგებობების შეკეთების შესახებ და აღნიშნა, რომ წელს 426 შენობა შეკეთდა და გამაგრდა.

დედაქალაქის მერის ანგარიში ასევე მოიცავს სხვა საკითხებს, კერძოდ, მერმა ისაუბრა მიწათსარგებლობის ახალი გენერალური გეგმაზე მუშაობის შესახებ. მისივე თქმით, **გამკაცრდა სარეკრეაციო ზონების დაცვის რეჟიმი, მშენებლობისას გაიზარდა გამწვანებული ნაწილის კოეფიციენტი. დედაქალაქის მდგრადი განვითარებისათვის თბილისის მერია „მომავლის ქალაქის" პროექტის განხორციელებას იწყებს. მისივე თქმით, ასევე ქალაქის ისტორიაში პირველად ძალაში შევიდა თბილისის გარემოსდაცვითი სტრატეგია, რომელიც მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს და დედაქალაქში გარემოსდაცვის პრიორიტეტებს განსაზღვრავს.**

რაც შეეხება „პანორამა თბილისის" პროექტს, ამის შესახებ ქალაქის მერმა განაცხადა **„ბუნებრივია, ისმის კითხვა — რას ვხედავთ ცუდს „პანორამა თბილისის" პროექტში. როდესაც ამ კითხვას დავსვამთ და საზოგადოება ჯანსაღად განსჯის ამ პროექტის სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს და, მეორე მხრივ, ვინც კარგად იცნობს ამ პროექტს ის ადეკვატურად პასუხობს, რომ „პანორამა თბილისი" როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროექტია. რაც შეეხება ქალაქის ისტორიულ ნაწილს, „პანორამა თბილისი" მნიშვნელოვანი პროექტია".**

მისივე თქმით, „პანორამა თბილისის" ის კომპონენტი, რომლის მშენებლობაც ისტორიულ ნაწილში მოხდება, ისტორიული მემკვიდრეობის დაცვის წესით იქნება განხორციელებული და აშენებული.

„ჩვენ ძალიან მალე დავასრულებთ ქალაქის ისტორიული საზღვრების დადგენას და კვლევა იქნება საკმაოდ დეტალური, მრავლისმომცველი, თუ როგორ უნდა განვითარდეს როგორც ესთეტიკური, ასევე ტურისტული თვალსაზრისით ქალაქის ისტორიული ნაწილი. მნიშვნელოვანი დოკუმენტი მზადდება, რაც ჩვენი სტრატეგიული სამუშაო დოკუმენტი გახდება", — აღნიშნა დავით ნარმანიამ.

მისივე თქმით, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი ხელოვნურად იყვნენ შეცდომაში შეყვანილნი ტენდენციური, ცალმხრივი ინფორმაციის მიწოდებით.

ნარმანიამ დასძინა, რომ „პანორამა თბილისის" პროექტზე 20-ზე მეტი სხვადასხვა დასკვნა მომზადდა როგორც არქეოლოგიური, ეკოლოგიური ტრანსპორტით და სხვა კუთხით და კითხვები, რომელიც არსებობდა, არც ერთი მათგანი პასუხგაუცემელი არ დარჩენილა.

◎ ინფორმაცია

როდემდე გაიწელება „რუსთავი-2"-ის საქმე?

„რუსთავი-2"-ის საქმეზე სასამართლო პროცესი მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ კვლავ გადადო. პროცესი ორშაბათს 11:00 საათზე დაინიშნა. აღნიშნული შუამდგომლობით მოსამართლეს კვლავ „რუსთავი-2"-ის ადვოკატებმა მიმართეს. მათი თქმით, ის დრო, რაც გუშინ მოსამართლემ მათ მისცა ექსპერტის სიტყვის გასაანალიზებლად არ ეყოთ და გონივრული ვადა ორშაბათამდე ითხოვეს.

„რუსთავი-2"-ის ადვოკატების თქმით, მოპასუხე მხარის შუამდგომლობა სასამართლო პროცესის გადადების თაობაზე მოსარჩელე მხარე დაეთანხმა. ქიბარ ხალვაშის ადვოკატების თქმით, პროცესის გადადების პრობლემა არ არსებობს. ხოლო იმისთვის, რათა მხარეები თანაბარ პირობებში იყვნენ, მოსარჩელე მხარეს ადვოკატმა პაატა სალიამ მოსამართლეს თხოვნით მიმართა, რომ მომავალ სხდომაზე, იმ შემთხვევაში, თუ სხდომა გადაიდებოდა, მისცემოდათ მოსარჩელე მხარეს საპაექრო სიტყვის დასკვნის სახით მცირე ვადაში ჩამოყალიბება.

საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ, რომ სხდომის გადადების პრობლემა არ არსებობდა. მხარეების პოზიცია გაიზიარა მოსამართლემ და შემდეგი სასამართლო სხდომა 2 ნოემბერს, 11 საათზე დანიშნა.

◎ სათქმელი

თქვენ არ მოგვისმინოთ, ჩვენ დაგამსოზთ(?!)

ახლა რაღას იტყვიან **ასმათ ტყაბლაძე** და **თაკო ჩარკვიანი?!**

„რუსთავი-2“-ის დაცვით თავისუფალ სიტყვას ვიცავთო?!

ნუთუ იმდენად გულუბრყვილონი არიან, რომ ეს გულწრფელად სჯერათ?!

თაკო კიდევ ჰო, მაგრამ ასმათი და გულუბრყვილობა?!

მსახიობი, ბიზნესმენი, პოლიტიკოსი, დედაქალაქის მერობაზე პრეტენზიით...

ასე იცის ლეიბორისტობამ!

შალვა ნათელაშვილის გვერდით დგომამ!

კინაღამ სააკაშვილის ბარიკადებზე არ აღმოჩნდა ეს ჭკვიანი ქალბატონი?!

ალბათ, გააკვირვებს ჩემგან ასეთი სიტყვების მოსმენა, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას.

უთქმელობა ძალიან ბევრს აფუჭებს:

მეგობარია და როგორ ვაწყენინო?!

კოლეგაა და როგორ დავუპირისპირდე?!

უნდა ვუთხრათ!

უნდა დავუპირისპირდეთ!

თუ საქვეყნო ინტერესი ამას მოითხოვს.

უნდა გავახსენოთ **გია ხუსაშვილს** ის, რასაც ბიძინა ივანიშვილი ამბობდა: ძალიან განვიცდი, გიას რომ ლანძღავენ, რადგან ვიცი, ამის გამო მისი არაჩვეულებრივი მეუღლე ნერვიულობსო (ახლახან მითხრეს, რომ ეს არაჩვეულებრივი ქალბატონი სწორედ ივანიშვილმა გადაარჩინა)...

სამაგიეროდ, ახლა თვითონ მხოლოდ მარგველაშვილის გამო ნერვიულობს(?!)...

ნუთუ უმადურობა მხოლოდ ქართული თვისებაა?!

რა უტიფრად წამოაძახა არჩილ გამზარდიას „ჯიდიესის“ თანამშრომლობა, თითქოს სულ ახლო წარსულში თვითონ ივანიშვილის თანამშრომელი არ ყოფილიყოს.

როგორ იცვლიან ასე ადვილად კანსა და ტყავს ჩვენი „ბრძენი ექსპერტ - მრჩეველები“?!

უნდა ვუთხრათ **ფიქრია ჩიხრაძეს,** რომ სამარცხვინოა მისი „პოლიტიკური გზა“ - გამსახურდიას წინააღმდეგ გალაშქრება, შემდეგ შევარდნაძის ნდობით აღჭურვილ პირად მოვლინება და ახლა მარგველაშვილის მრჩევლობა.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ის, როგორც იქნა, გამოფხიზლდა, მაგრამ ჯერ ისევ „ჭრელი პეპელას“ მდგომარეობაშია: თუ ნაცების უტიფრობას დაუპირისპირდება და კრიმინალებს პასუხს მოსთხოვს, დიქტატორული რეჟიმის იარლიყს მიაწებებენ, თუ ამას მოერიდება, იგივე ნაცები უნიათოდ გამოაცხადებენ.

არადა, სადამდე გათავხედდნენ :

რევოლუციას ვგეგმავდით და რატომ გვისმენდითო(?!).

ხალხს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და კადრებს რატომ ავრცელებთო(?!).

მოსმენა და გავრცელება ყოფილა მთავარი და არა თვითონ დანაშაული(?!).

და ასმათი და თაკო ამათ დასაცავად გამოვიდნენ?!

ალბათ, გუშინაც წავიდოდნენ, შეშინებულ გვარამიას შინ დარჩენისკენ რომ არ მოეწოდებინა.

კიდევ კარგი, თორემ უნდა მენერვიულა — ამ წვიმაში ჩემი ძვირფასი მეგობრები სად დგანან-მეთქი.

მართალია, გვარამიას იცავენ, მაგრამ მაინც მეგობრები არიან.

არადა, გვარამიას ისინი კი არა, იმ ჩანაწერების გამოქვეყნების შემდეგ, ფიქრია და მისი პრეზიდენტიც ვეღარ დაიცავენ...

იოსებ ჭუმბურიძე

◎ ინფორმაცია

ვინც იცნობს ნაციონალურ ხელწერას, საუბრის რეალობაში ეჭვი არ შეჰპარვია

უკრაინულ საიტებზე გავრცელებულ სატელეფონო ჩანაწერებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ.

„ეს პოლიტიკური ძალა გაიგივებულია სწორედ იმ ტიპის ძალადობრივ ქმედებებთან, რომელიც მათ გონებაში ლაგდება, როგორც მომავალი ქმედების სცენარი“, — აღნიშნა დეპუტატმა. მისივე თქმით, ყველა შემთხვევაში, დაადასტურებს თუ არა რომელიმე მონაწილე ამ საუბრის ნამდვილობას, საჭიროა ამ ფაქტების გადამოწმება.

„შესაბამისმა სამსახურებმა ძალიან ზუსტად და სრულყოფილად უნდა იმუშაონ, რომ პრევენციულად მოხდეს ყველა იმ საჭირო ზომის მიღება, რაც დააზღვევს პირველ რიგში ჩვენი მოსახლეობისა და ქვეყნის უსაფრთხოებას, რათა არ განხორციელდეს ის სცენარი, რაც დიდი ხანია, სააკაშვილის და მისი მეგობრების გონებაში ლაგდება“, — აღნიშნა ეკა ბესელიამ.

ეს ჩანაწერები მოპოვებულია უკრაინელების თუ ჩვენი სპეცსამსახურების მიერ

გამოძვეყნებულ ჩანაწერებს ძალა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება, თუ ის კანონიერად არის მოპოვებული, — ამის შესახებ განმარტებებს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი აკეთებს.

„მიმდინარეობს გამოძიება, მათ შორის ამ აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებით და სად და როგორ არის მოპოვებული, ამაზე პასუხს გამოძიება გასცემს. სასამართლო ვერ მიიღებს მტკიცებულებად იმ ჩანაწერებს, რომლებიც კანონიერად მოპოვებული არ არის. შესაბამისად, თუ ვინმეს ამის დარდი აქვს, შეუძლია დამშვიდდეს. პირველ რიგში, დასადგენია, ეს ჩანაწერები მოპოვებულია უკრაინელების მიერ თუ ჩვენი სპესამსახურების მხრიდან, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ამ ჩანაწერებს ძალა ექნება, თუ ის კანონიერად არის მოპოვებული და სასამართლო ამას მიიღებს. ამიტომ ვინმეს იმის დარდი არ ჰქონდეს, რომ უკანონოდ უსმენენ - უკანონო მოსმენას სასამართლოში ვერ გამოიყენებენ და თუ ჰგონიათ, რომ ეს კითხვა არის რელევანტური და მთავარი, ძალიან ცდებიან. რაც შეეხება თავად ამ ჩანაწერების შინაარსს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, გამოძიებას უნდა დაველოდოთ. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპებს კვლავაც დავიცავ. გარდა ამისა, არის სხვა ტექსტობრივი ჩანაწერი, რომელიც ჩვენ ვნახეთ, წავიკითხეთ, რომელიც გაცილებით სერიოზული საფრთხეების მატარებელი იყო. სამართალდამცავები, როგორც ჩემთვის ცნობილია, მუშაობენ იმისათვის, რომ ეს ჩანაწერიც მოიპოვონ, თუკი არსებობს და თავისთავად ცხადია, თუ ეს დადგინდება, საქმე გვექნება ძალიან სერიოზულ დანაშაულთან და შემდგომ უკვე პროკურატურამ და სასამართლო ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება“, — აცხადებს ირაკლი სესიაშვილი. უკრაინული გამოცემის მიერ გავრცელებული აუდიომასალის მიხედვით, მიხეილ საკაკაშვილი „რუსთავი-2“-ის სასამართლო პროცესით ინტერესდება და ამბობს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე მიდგება საქმე, მოვლენები რევოლუციური სცენარით უნდა განვითარდეს. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გიგა ბოკერიასთან და ნიკა გვარამიასთან ბარიკადების აღმართვაზე და „ბოევიკების“ დაყენებაზე საუბრობს, რაც მისივე თქმით, საბოლოო ჯამში, სროლით დასრულდება.

ფირცხალავას და ცააძეს 12-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ

ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე განზრახ მკვლელობის ბრალდებით დამნაშავედ ხუთი ბრალდებულიდან ორი — ირაკლი ფირცხალავა და გიორგი ცააძე ცნეს.

წარდგენილ ბრალდებაში, საბრალდებო მუხლებში ბრალდებულების მიმართ ნაწილობრივ გამამტყუნებელი, ნაწილობრივ კი გამამართლებელი განაჩენი დადგა. კერძოდ, მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილის გადაწყვეტილებით განზრახ მკვლელობის მუხლით დამამძიმებელ გარემოებებში ერთ პუნქტში გამართლდა და ორში გამტყუნდა გიორგი ცააძე. მას საბოლოო სასჯელად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა ამნისტიის გათვალისწინების შედეგად. რაც შეეხება ირაკლი ფირცხალავას, იგი ცააძის მსგავსად გამართლდა ფალსიფიკაციის ნაწილში, ხოლო დამნაშავედ იქნა ცნობილი განზრახ მკვლელობის მუხლით და მასაც საბოლოო სასჯელად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

თბილისის სპეცრაზმის ყოფილ უფროსს კახა ნაკანს განზრახ მკვლელობის ბრალდება გადაუკვალიფიცირდა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით და მას საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა 2012 წლის ამნისტიის გათვალისწინების შედეგად.

რაც შეეხება კიდევ ერთ ბრალდებულ ლევან ბეროძეს, იგი ფალსიფიკაციის ბრალდების ნაწილში დამნაშავედ იქნა ცნობილი და საბოლოო სასჯელად 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. ამ საქმეზე ბრალდებულ გრიგოლ კვინიკაძეს, რომელიც როგორც ცნობილია ქვეყანაში არ იმყოფება, უკანონო დაკავების ბრალდებით 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.

მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა განაჩენის გამოცხადებამდე განცხადება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ დაცვის მხარე ე.წ. კორტების სპეცოპერაციას დაკავების ღონისძიებას უწოდებს, თუმცა მოსამართლის განცხადებით, დაკავების ღონისძიებებთან დაკავშირებული სტანდარტები დარღვეული იყო და ამ ფაქტს სისხლიანი სპეცოპერაცია ეწოდა, რომელიც კრიმინალურად განვითარდა.

ზურაბ ვაზაგაშვილის დედის ციალა შანავას თქმით, მაშინ როდესაც უდანაშაულო მამა-შვილი შეიწირეს მკვლელებმა, აღნიშნული განაჩენი მისთვის მიუღებელია და საკმაოდ მცირეა.

ვაზაგაშვილების ოჯახის ახლობლებმა სასამართლოს დარბაზი ხმაურის ფონზე დატოვეს. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მსჯავრდებულების ახლობლებიც.

ფირცხალავას მეუღლის ინფორმაციით, ისინი განაჩენის გასაჩივრებას აუცილებლად აპირებენ.

◎ პოზიცია

სააკაშვილი უვნებელი მხოლოდ ქართულ საპყრობილეში „დაბინავების“ შემდეგ გახდება

გავრცელებულ სატელეფონო ჩანაწერებთან დაკავშირებით, პოლიტოლოგი **ჯუმბერ კირვალიძე** facebook-ზე წერს:

„აბა, „რუსთავი-2“-ის თანამშრომლებო, ჟურნალისტებო და სხვებო, აგრეთვე, სააკაშვილის და „ნაცხროვის“ ფანებო, რას იტყვით ამ აუდიოჩანაწერებზე, რომელთა ავთენტურობა უკვე დაადასტურეს ბოკერიამ და გვარამიამ?! როგორ მოგწონთ სააკაშვილის და ამ ორი ვაუბატონის სასაუბრო ენა, ლექსიკა, რომლითაც თქვენ მოგიხსენიებენ? კიდევ ვერ მიხვდით და ვერ დარწმუნდით იმაში, რომ ეს ნაძირლები თქვენ არაფრად გთვლიან და „გამოსაყენებელ მასალად“ გიყენებდნენ წლების მანძილზე?! ახლა მაინც მოდით გონს და ამ უგვანებს თვითონვე გაეცით საკადრისი პასუხი, თუ მართლაც მონები არ ხართ და გრამი ღირსება შეგრჩათ!.. სააკაშვილს და მის „ნაცაფთრებს“ რომ სისხლისღვრის პროვოცირება სურდათ საქართველოში, ამის შესახებ არაერთხელ განმიცხადებია, ჰოდა, ეს აუდიოჩანაწერები საბოლოოდ ადასტურებს ამას.

საქართველოს ხელისუფლებას, მას შემდეგ, რაც სააკაშვილი უკრაინის მოქალაქე და სახელმწიფო ჩინოვნიკი გახდა, მისთვის მაშინვე უნდა ჩამოერთმია საქართველოს მოქალაქეობა. ეს აუდიოჩანაწერები უნდა გახდეს მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თხოვნით მიმართოს უკრაინის ხელისუფლებას, რომ მან ძებნილი (მასზე 4 საქმეა აღძრული საქართველოს პროკურატურის მიერ) სააკაშვილი გადმოსცეს საქართველოს! სააკაშვილს უნდა წაუყენონ ახალი ბრალი, მის წინააღმდეგ უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე — საქართველოში სისხლისღვრის პროვოცირების, კანონიერი ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის და ძალადობრივად დამხობის მუხლით! ამავდროულად, ეს აუდიოჩანაწერები ხელისუფლებამ ოფიციალურად უნდა მიაწოდოს საქართველოში აკრედიტებულ ყველა დიპლომატიურ მისიას, საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისებს, უწინარესად კი აშშ-ის საელჩოს, რათა ისინი დარწმუნდნენ, თუ როგორი ტერმინებით მოიხსენიებს მათ მათივე სახელდებული „დემოკრატიის შუქურა და მზეჭაბუკი“, სინამდვილეში კი, პოლიტიკური ავანტიურისტი და სისხლიანი პროვოკატორი სააკაშვილი!.. იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლების კანონიერ მოთხოვნას უყურადღებოდ დატოვებს, მაშინ საქართველომ პროტესტის ნიშნად უნდა გამოიწვიოს ჩვენი ელჩი უკრაინიდან და ამ საქმეს მიეცეს საერთაშორისო რეზონანსი, რადგანაც სააკაშვილის საბოლოო „გაუვნებელყოფა“ მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი წარსდგება ქართული სასამართლოს წინაშე და სამართლიანი გადაწყვეტილების შედეგად „დაბინავდება“ გლდანის, ან საქართველოს სხვა რომელიმე საპყრობილეში!!!“

◎ აქტუალური თემა

ვის უნდა დავუჯეროთ – ნატოს, ევროკავშირს, ვაშინგტონს თუ ნაციონალურ მოძრაობასა და მის აქტივისტებს?

ძართველი საზოგადოების არჩევანი პოლიტიკური კურსის მიმართულებით, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში განისაზღვრა და დღემდე უცვლელია. თუმცა, შიგადაშიგ თემა – რუსეთი თუ ნატო და ევროკავშირი – პერიოდულად თავს ისევ გვახსენებს. ეს კითხვა დღეს საქართველოს პრეზიდენტისა და დიპლომატიური კორპუსის შეხვედრაზეც დაისვა.

NDI-ს კვლევებმა, რომლის პრეზენტაციაც ორიოდე კვირის წინათ გაიმართა, წინა შედეგებთან მიმართებაში გვაჩვენა, რომ ევრაზიის კავშირში გაწევრების მსურველთა რაოდენობა არ გაზრდილა და ის გამოკითხულთა 31%-ს შეადგენს, მაშინ როცა ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების მსურველთა რაოდენობამ იკლო და 61%-მდე შემცირდა. გამოკითხულთა 70%-ს რუსეთთან ურთიერთობა არ მოსწონს, 89% კი რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას მიესალმება.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა ეს თემა მას შემდეგ, რაც საქართველოში ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორი ფატუ ბენსუდა ჩამოვიდა. ბენსუდა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე დატრიალებული მოვლენების და ნებისმიერი ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას აპირებს და ამ თხოვნით მან ჰააგის სასამართლოსაც მიმართა.

როგორია ამ ფონზე ქართულ-რუსული ურთიერთობები, ღირს თუ არა დიალოგის გაგრძელება ჟენევის ფორმატში რუსეთ-საქართველოს შორის და რა გავლენა შეიძლება იქონიოს ბენსუდას ვიზიტმა ორი ქვეყნის ურთიერთობებზე უახლოეს მომავალში?

For.ge რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერის სპეციალურ წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.

– „2008 წლის აგვისტოში განვითარებული მოვლენების შემდეგ, – ამბობს ბატონი ზურაბი, – უმძიმესი მემკვიდრეობა გვერგო წილად, ფაქტობრივად, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა მოიშალა და ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ეს ვითარება გამოვასწოროთ. მთავარ თემებთან მიმართულებით, სამწუხაროდ, ჩვენ წინსვლა არ გვაქვს, ვგულისხმობ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემების მოგვარებას. ამავე დროს, ვაწარმოებთ რუსეთთან დიალოგს კონკრეტულ საკითხებზე – ვაჭრობა, ტრანსპორტი, ჰუმანიტარული საკითხები...

– არის რაიმე სიახლე ვაჭრობის მიმართულებით, იგეგმება დამატებით რაიმე პროდუქციის შესვლა რუსეთის ტერიტორიაზე?

– განსაკუთრებული სირთულეები ამ ეტაპზე არ არის. ვაჭრობა შემცირებულია რუსეთში მიმდინარე გარკვეული ეკონომიკური პრობლემების ფონზე, თუმცა ეს პროცესები გრძელდება. გადის ჩვენი პროდუქცია, შეთანხმება შედგა და კიდევ დამატებითი პროდუქციის შესვლა იგეგმება.

– თქვენი და კარასინის ფორმატის შეხვედრები მუდმივი განსახილველი თემაა ხელისუფლებასა და ოპოზიციური სპექტრის დაპირისპირებისას. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ფორმატი უნდა შეჩერდეს, რადგან ახალი და ხელშესახები მას არაფერი მოაქვს...

– მე მათი მოსაზრება აღარ მაინტერესებს. როცა ჩვენი დიალოგი დაიწყო, მე ყველას ვხვდებოდი, მათ შორის ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს და მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციის წარმომადგენლებსაც, მაგრამ ყოველგვარი ინტერესი დავკარგე, რადგან მათი განცხადებები მთლიანად პოლიტიკურად ანგაჟირებულია. ხანდახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი ცდილობენ გვიბიძგონ იმავე ტრაგიკული შეცდომის დაშვებისკენ, რაც მათ დაუშვეს 2008 წელს, რამაც ქვეყანაც იმსხვერპლა და, საბოლოო ჯამში, ნაციონალური მოძრაობაც.

ამ დიალოგს მხარს უჭერს ყველა ჩვენი დასავლელი პარტნიორი. ეს დაადასტურა ნატოს გენერალურმა მდივანმა თავისი ვიზიტისას, როცა მან ხაზგამით აღნიშნა, რომ დიალოგი უნდა გაგრძელდეს. ამაზე საუბრობენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები. ვის უნდა დავუჯეროთ – ნატოს, ევროკავშირს, ვაშინგტონის ადმინისტრაციას თუ ნაციონალურ მოძრაობას და მათ აქტივისტებს?

– თქვენ ახსენეთ, რომ თქვენი დიალოგის ფორმატში ვერ ხერხდება მთავარი პრობლემების – ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის მოგვარება. რა უნდა გაკეთდეს ამისთვის, რა ძალისხმევაა საჭირო, რომ დაიწყოს ამ პრობლემის მოგვარება?

– ჟენევის მოლაპარაკებები საერთაშორისო კონსულტაციები უმთავრესი ფორმატია, სადაც საერთაშორისო თანამეგობრობის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად განიხილება ამ კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული პრობლემატიკა, მაგრამ ხელშესახები წინსვლა, იმის მიუხედავად, რომ ყველაფერი კეთდება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, არ არის.

– როგორ ფიქრობთ, ჰააგის პროკურორის ფატუ ბენსუდას ვიზიტი და ის ფაქტი, რომ ჰააგის პროკურატურამ შეიძლება დაიწყოს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების განხილვა, როგორ აისახება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე?

– ვერ გეტყვით წინასწარ და გარკვევით. ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა, მოგვიწევს რაღაც ნაბიჯების გადადგმა. ყოველ შემთხვევაში, დიალოგი უნდა გაგრძელდეს. ვნახოთ, დავაკვირდეთ და დაველოდოთ პროცესებს.

ეკა გუჩუკური

◎ შეფასება პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ

მარგველაშვილი ნაციონალებს არ აურჩევიათ და არც სამომავლოდ აირჩევენ!

პრეზიდენტი თურმე პოლიტიკაში დარჩენას გეგმავს

უფლებადამცველი ნანა კაკაბაძე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს შეხვდა. საუბარი შეეხო „რუსთავი-2“-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებს, პრეზიდენტის ხედვას ამასთან დაკავშირებით და მისივე გაკეთებულ მოწოდებას მოსამართლის მიმართ - ნაჩქარევი და ხისტი გადაწყვეტილებისგან თავის შეკავებასთან დაკავშირებით. როგორც ნანა კაკაბაძე ამბობს, იქ შეკრებილ არასამთავრობათა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ეს იყო პირდაპირი ზეწოლა მოსამართლეზე, რის გამოც, სავსებით შესაძლებელია, რომ თამაზ ურთმელიძემ პრეზიდენტს საერთაშორისო სასამართლოში უჩივლოს კიდეც.

გიორგი მარგველაშვილი კი ირწმუნება თურმე, რომ მან ეს უბრალოდ პოპულარულ ენაზე გაახმიანა და არ უფიქრია, თუ მის ამ განცხადებას მოსამართლეზე ზეწოლად აღიქვამდა საზოგადოება. **„მე გავაქარწყლე თეა წულუკიანის განცხადება, რომელმაც მოუწოდა მოსამართლე ურთმელიძეს, დროულად მიეღო გადაწყვეტილება, რათა პროცესები კიდევ უფრო არ დაიძაბოს“.** – უთქვამს პრეზიდენტს. როგორც კაკაბაძე იხსენებს, არც მიხეილ სააკაშვილის „ნულოვანი ტოლერანტობა კრიმინალს!“ იყო ერთი შეხედვით მიუღებელი, მაგრამ მან სხვა დატვირთვა შეიძინა და ამის გამო უამრავი ადამიანი უსამართლოდ მოხვდა ციხეში, პატიმართა რაოდენობამ კი 25 ათასს გადააჭარბა. უფლებადამცველებმა პრეზიდენტს ურჩიეს, დააცადოს მოსამართლეს ვერდიქტის გამოტანა, ვინაიდან ეს არ არის ბრძოლა სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ, არამედ არის დავა ორ მეპატრონეს შორის. სხვა საქმეა, გაითვალისწინებს თუ არა პრეზიდენტი არასამთავრობოთა შეგონებას, რადგან თავად არასამთავრობებიდან წამოსული „ენჯეოშნიკებით“ გარემოცულს, როგორც ხედავთ, სიმართლის მარცვლის პოვნა უჭირს.

„რიგითი მოხელის კომენტარი ვერ იქნება გავლენის მომხდენი სასამართლოზე, მაგრამ ქვეყნის პირველი პირების – პრეზიდენტისა და პრემიერის გამონათქვამები პირდაპირ იმოქმედებს სასამართლოზე. ჩემი აზრით, მარგველაშვილი ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა „ენჯეოს“ გარმოცვიდან, რომლის მძევალიც უკვე გახდა. ის, რომ ხალხის პრეზიდენტია, ამის გათავისება უჭირს, რადგან ჩემი შთაბეჭდილებით, მას გარემოცვა ზღუდავს“, – ამბობს უფლებადამცველი.

ნანა კაკაბაძის თქმით, პრეზიდენტთან შეხვედრაზე ღიად ითქვა, რომ გიორგი მარგველაშვილის ყველა განცხადება აღიქმება, როგორც ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა: **„ქვეყნის პრეზიდენტის გამონათქვამები მხოლოდ ამ ოპოზიციური ძალის პოზიციას გამოხატავს, იმის მიუხედავად, რომ ის ნაციონალებს არ აურჩევიათ. არც სამომავლოდ არ აირჩევს მას ნაციონალური მოძრაობა. მათ მარგველაშვილი იმისთვის სჭირდება, რომ გამოიყენონ. ამიტომ პრეზიდენტი ვალდებულია, თავისი ამომრჩევლის ხმა შეისმინოს, თუ მას პოლიტიკაში დარჩენა სურს. მით უმეტეს, თქვა, რომ ის პოლიტიკაში დარჩენას აპირებს. მას ბიძინა ივანიშვილი არ დაუდგება გვერდით და მარტო მოუწევს ასპარეზი!“**

რაც შეეხება უკანასკნელ ფარულ ჩანაწერს, რომელიც სააკაშვილ-ბოკერიას, სააკაშვილ-გვარამიას საუბარს ასახავს და რომელსაც არც ნაციონალები უარყოფენ, ნანა კაკაბაძე ასეთ შეფასებას აძლევს: **„ჩემთვის და ზოგადად საზოგადოებისთვის ნაციონალები ასოცირდებიან ძალადობასთან. ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ ძალადობის გზით, არასოდეს არ უცდიათ, ხალხი კეთილგანწყობილი ყოფილიყო მათ მიმართ. ისინი გათვლას დასავლეთზე აკეთებენ და ძირითადად ფინანსური დაინტერესების გამო. ქვეყნის შიგნით ერთადერთი ბერკეტი რაც ჰქონდათ – ეს იყო ძალადობა... ამდენად, ამ ჩანაწერების საუბარი არავის უნდა გაუკვირდეს. რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ დღესაც ძალადობრივი გზით ცდილობდნენ ხელისუფლებაში დაბრუნებას? სხვა სტილი და სხვა ბერკეტი არ გააჩნიათ, რადგან ასეთია მათი ბუნება“.** უფლებადამცველი სასამართლოებში 2004-2012 წლებში მიმდინარე მოვლენებსაც იხსენებს და იმ საკანონმდებლო ბაზასაც, რის გამოც დღეს ნაციონალები საკონსტიტუციო სასამართლოში ჩივიან: **„ჩვენი ხელისუფლების სისუსტე რომ არა, უნდა ამოეღოთ ყველა განაჩენი, რაც ამ წლებში გამოუტანიათ მოსამართლეებს, და ვნახავთ, როგორ უნამუსოდ „კოპი-ფეისტით“ არის გადმოტანილი ტექსტები. ზოგჯერ გვარ-სახელებიც კი არ იყო შეცვლილი, რა დასაბუთებაზეა საუბარი. ნაციონალებმა ერთი საკონსტიტუციო სარჩელი შეიტანეს გიგი უგულავას 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის ვადასთან დაკავშირებით, ხოლო მეორე „დაუყოვნებლივ აღსრულებასან“ დაკავშირებით და ანტიკონსტიტუციურად მიიჩნევენ. კი, მაგრამ ვინ მიიღო ეს კანონები? – მიიღო იმ პარლამენტმა, ვინც თუნდაც იმ კანონებში ძალადობდა.**

როცა ნაციონალებს შეეხო კანონმდებლობა, მაშინ მიხვდნენ, თუ რა ცუდი კანონებია მიღებული, თორემ სხვა შემთხვევაში ახსოვდათ? ამ კანონებმა იმუშავეს მთელი 9 წლის განმავლობაში და ახლა იმიტომ უნდა გავაუქმოთ, რომ ნაციონალებს შეეხო?!“

ნანა კაკაბაძემ ნაციონალური მოძრაობის მიმართ დასავლეთის მხარდაჭერაზეც გააამახვილა ყურადღება: **„ნუ გგონიათ, რომ მარტო ჩვენთან არიან ეშმაკები და სხვაგან – ანგელოზები. „გვარამიები“, „ბოკერიები“ და „ადეიშვილები“ ყველგან არიან. მათ მონახეს თავისნაირები. რა დგას ამ მხარდაჭერის უკან, რა კორუფციული სქემები იშიფრება, ამაზე პასუხი ხელისუფლებამ უნდა გაგვცეს. საბედნიეროდ, ეს არ არის მთელი დასავლეთის განწყობა, მაგრამ ვინაიდან ჩვენი საზოგადოება ხედავს დასავლეთის ორმაგ სტანდარტებს, გაუჩნდა ნიჰილიზმი. ჩემი აზრით, რეალური გამოკითხვა რომ ჩაატარო, 70 პროცენტი იტყვის, რომ დასავლეთთან ინტეგრაცია არ უნდა. მაგალითად, ევროპელი უფლებადამცველების აზრით, ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია არიან თურმე პოლიტპატიმრები, რომლებიც სასჯელს ევროსტანდარტების ციხეში იხდიან, ხოლო დანარჩენებზე, რომელიც პარლამენტმა ცნო პოლიტპატიმრებად, ერთი კომენტარი არ გაუკეთებიათ. როცა სულხან მოლაშვილი ციხეში ნახა ევროსაბჭოს ექსპერტმა მათიას იორმა, გაოგნდა, და გაოცებულმა ჰკითხა ელენე თევდორაძეს, რა უნდა გვითხრათ ამაზე ევროსაბჭოში, მსგავსი არასოდეს მინახავსო. ქალბატონ ელენეს უპასუხია, მე არ ვაპირებ თავის მართლებასო... საშინელების მნახველი ევროპელი ექსპერტები ვალდებულები იყვნენ, გაეკეთებინათ მკაცრი განცხადება, მაგრამ ხმა არ ამოიღეს. მათ იცოდნენ, რომ ის იყო პოლიტპატიმარი და თან იყო ნაწამები, მაგრამ ამ ყველაფერს შეფასება მაინც არ მოჰყვა. აი, ეს არის სწორედ ორმაგი სტანდარტი, რის გამოც იმედგაცრუება გაუჩნდა საზოგადოებას. გაჩნდა კიდეც ანტიდასავლური განწყობა და ეს ნაციონალური მოძრაობის დამსახურებაა“,** – დასძენს ნანა კაკაბაძე.

თეა მოსია



მაძღარი ტარიფები

ამ ჩვენმა ფსევდოპატრიოტმა ნაცნარ-ჩენებმა თავიანთი ჩაჟანგული ხმებით კახური მრავალჟამიერივით რომ დააგუგუნეს: გამოფხიზლდით ხალხო, ეს უქნარა და უსაქმური ხელისუფლება, რომელმაც ქვეყანა თავზე დაგვამხო, ესეც არ გვაკმარა და ახლა კიდევ ჩვენი მტრის ბანაკიდან ჩვენს დასაღუპად რუსული „გაზპრომი“ შემოჰყავსო, როგორღაც მივიწყებული, ნაცების ნაცოდვილარი ძველი ამბავი გამახსენა. ახლაც ღიმილსა მგვრის (და არა მარტო მე) მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის, ლიბერალური „გონიერებით გამორჩეული“ კახა ბენდუქიძის „პრაგმატული“ ინიციატივა: ვერ გამიგია, რატომ უნდა ვხარჯოთ სახელმწიფო თანხები იმ მილსადენის შეკეთებაში, რომლითაც რუსეთი გაზს სომხეთს აწვდის, მივყიდოთ რუსეთს გაზსადენი, თავში ქვა იხალოს და ეს ჟანგიანი მილები თავადვე არემონტოსო. კიდევ კარგი ჩვენმა მთავარმა სტრატეგიულმა პარტნიორმა (აშშ) ბატონ კახას იმ ფუმფულა ლოყებში დროულად შემოულაწუნა, თორემ ხსენებული გაზის ტრანზიტიდან კუთვნილ იმ მცირე ლუკმასაც კარგა ხანია დავკარგავდით და დღევანდელ ენერგეტიკის მინისტრს „გაზპრომის“ ხელმღვანელობასთან „კულუარებში“ მოსალაპარაკებელიც აღარაფერი დარჩებოდა(!).

თავი დავანებოთ „გაზპრომს“. ნაცები თუ მართლა ქვეყნის მშენებლები იყვნენ, რატო მაშინ არ აპროტესტებდნენ ხელისუფლების გადაწყვეტილებას, როცა ქვეყნის ეკონომიკის ძირითად ენერგეტიკულ ობიექტებს (ენგურჰესი, ჟინვალჰესი, რიონჰესი, ლაჯანურჰესი, აჭარის წყალი, ხრამჰესები, ვარციხჰესები და სხვები), მათი შერქმევით, საქართველოს მტერს – რუსეთს აყიდებდნენ? აღარაფერს ვამბობ თავად „გაზპრომისთვის“ მიყიდულ „ყაზტრანსგაზ თბილისზე“, გაზგამანაწილებელ კომპანია „იტერაზე“, ნავთობისა და გაზის მომპოვებელ ფირმა „ალექსიზე“. თუ მაშინ პოლიტიკას და ეკონომიკას ერთმანთთან შეხება არ ჰქონდა, ახლა რა შეიცვალა? მხოლოდ ხელისუფლების შეცვლით შეიძლება ავხსნათ ასეთი ფერისცვალება? სხვები რომ იქცეოდნენ ასე, ვიტყოდი, რომ უბრალოდ უნამუსოები არიან. ნაცებს ამასაც ვერ დააბრალებ, როცა ხელისუფლებაში იყვნენ, მაშინაც არ ჰქონდათ ნამუსზე პრეტენზია და ახლა საიდან დაესიზმრებოდათ?

ნაცების ნამუსსა თუ უნამუსობაზე საუბარი მხოლოდ თეორიული მსჯელობით რომ არ შემოიფარგლოს, ალბათ, უპრიანი იქნება ვილაპარაკოთ იმ შედეგების მიხედვით, რაც ენერგეტიკული ობიექტების გასხვისებამ ქვეყანას და ხალხს მოუტანა. ამის ნიშანდობლივ მაგალითად გამოდგება თბილისური ენერგოკომპანია „თელასი“, რომელიც ჯერ კიდევ მოქკავშირის მმართველობის პერიოდში ამერიკულმა AES-მა ჩალის ფასად შეიძინა. თვითონ ფაქტიც, რომ ტენდერი სწორედ AES-მა მოიგო, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ სატენდერო პროცედურები დაირღვა და სახელმწიფოს ხელდასხმით გაფორმდა მასთან ხელშეკრულება, რომლის გამოყენებითაც ამერიკული კომპანია წლების მანძილზე ახერხებდა ტარიფების გაბერვას და მოსახლეობიდან სულ უფრო მეტი თანხის გამოძალვას.

ფაქტებს მოვუხმობ. **საქართველოში AES-ის შემოსვლიდან სულ რაღაც 3 წელიწადში „თელასის“ ტარიფი 5,5-ჯერ გაიზარდა (1,4 თეთრიდან 7,72 თეთრამდე), ხოლო მისი განაწილებისა და დისტრიბუციის წილი მთლიანად ტარიფში – 60-70 პროცენტამდე. უხეში გათვლებით დგინდება, რომ 2002 წლიდან 2012 წლის ჩათვლით (ნაცების მმართველობის პერიოდი) „თელასმა“, ახლა უკვე რუსული „რაოესის“ სახელით, დაახლოებით 22,6 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია მიაწოდა მომხმარებელს და თითოეულ კილოვატზე მიიღო 6,32 თეთრით მეტი, ვიდრე 2002 წლამდე არსებული ტარიფით მიიღებდა. შედეგად „თელასმა“ მოსახლეობისგან ათი წლის განმავლობაში ტარიფის გაზრდით 1 მილიარდ 430 მილიონი ლარით მეტი შემოსავალი მიიღო, რაც სხვა არაფერია, თუ არა ეკონომიკური მკვლელობა, ჩადენილი 520 ათასზე მეტი ღატაკი აბონენტის წინააღმდეგ.**

თუმცა ეს არ გახლავთ ერთადერთი ზიანი, რაც ქვეყანამ ამ კომპანიისგან მიიღო. თავის დროზე მეორე რუსულმა კომპანიამ „ენერგო პროჯორჯიამ“ დადო პირობა, რომ 85 მილიონ დოლარს შეძენილი ჰესების რეაბილიტაციაში ჩადებდა, 100 მილიონს კი ახალი ჰესების აშენებაში. აღნიშნული ინვესტიციები ტარიფებში კი აისახა, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა. ამის მიუხედავად, მომხმარებელი დღემდე იხდის ტარიფში ჩადებულ ამ თანხას. სწორედ ამ კორუფციული, მაქინაციის წყალობა გახლავთ, რომ **თუ ქართულ ბაზარზე „ენერგო პროჯორჯიას“ გამოჩენამდე გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანია მომხმარებელს ერთ კვტ/სთ ელექტროენერგიას საშუალოდ 6 თეთრად აწვდიდა, მონოპოლისტმა კომპანიამ ის 16 თეთრამდე გაზარდა. ამით რუსულმა კომპანიამ ქართველ მომხმარებელს ჯიბიდან უკანასკნელი გროშები ამოაცალა, სამაგიეროდ კი თავად დამატებით 2,6 მილიარდი ლარის შემოსავალი ჩაიდო(!).**

ყველა ნორმალური ქვეყანა ზრუნავს თავის მოსახლეობაზე, შეღავათს უწევს და იაფი ტარიფით უზრუნველყოფს იმ რესურსით, რაც მოჭარბებულად აქვს. მაგალითად, ნავთობით და გაზით მდიდარ ქვეყნებში მოსახლეობას შეღავათები აქვს ნავთობზე (აზერბაიჯანი), გაზზე (აზიის ქვეყნები), ჩვენთან პირიქითაა, როცა წყალი საქართველოში ყველაზე იაფი უნდა იყოს, ამ დროს ლამის ყველა ნედლეულზე ძვირია. **სპეციალისტების გათვლებით, 1 კუბმეტრი წყლის ღირებულება თბილისში, ყველაზე უხეში გაანგარიშებით 25 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს, მაგრამ რეალურად დედაქალაქში ფიზიკური პირები უმრიცხველო მოხმარებისას 1 სულზე 3.15 ლარს იხდიან, იურიდიული პირები კი – 4.4 ლარს. არადა, არსებობს აუდიტორული კომპანიების გათვლები, რომლის მიხედვით 1 კუბმეტრი წყლის ღირებულება არ შეიძლება 8.5 თეთრს აჭარბებდეს(!).**

აბა, რა ხდება საქართველოში, რატომ უკიდია თავად ცეცხლის მქრობელ წყალსაც კი წლების მანძილზე გაუნელებელი სიძვირის ცეცხლი? იმიტომ, რომ წყალმომარაგების სისტემის დიდი ნაწილის („თბილისის წყალი“, „მცხეთის წყალი“) პრივატიზებას, ისევე როგორც ენერგოობიექტების პრივატიზების შემთხვევაში, წინ უძღოდა ნაცების სახელისუფლებო კლანისა და რუსეთელ ინვესტორთა ფარული გარიგება, ამ უკანასკნელთათვის წინასწარ მიმზიდველი „სამოღვაწეო „ასპარეზის“ შექმნა. **ამის დასტურია ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მოღალატური ქმედება, რომელმაც 2007 წლის ნოემბრის აქციის დარბევის ფერიოდში, გადადგომამდე ერთი დღით ადრე, მოაწერა ხელი ჩვენი წყალმომარაგების სისტემის რუსული „ჯორჯიან ვოთერ ფაუერისათვის“ მიყიდვას და ამით გზა გაუხსნა უცხოელ ინვესტორთა მიერ ქვეყნის ეკონომიკის უალტერნატივო დაკაბალებას. მოხდა უპრეცედენტო გარიგება, ხელისუფლებამ ინვესტორს, მისი გულის საამებლად, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის დაუკითხავად, წყალზე ტარიფები თვითონ განუსაზღვრა, რაც დღემდე მოქმედებაშია?!**

ისმის კითხვა, რა შეიცვალა ქვეყანაში მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა? ბევრი არაფერი, ის ხალხს ჰპირდებოდა, რომ უსაშველოდ გაბერილ ტარიფებს გაანახევრებდა, მაგრამ მათი უმნიშვნელო შემცირებაც ძლივს მოახერხა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ დაპირების მიუხედავად, ქვეყანაში დღეს აც არ არსებობს პოლიტიკური ნება გადაიხედოს ინვესტორებთან დადებული კაბალური ხელშეკრულებები, განხორციელდეს ობიექტური მონიტორინგი, რათა მოსახლეობა ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის გადასახადს კვლავ იმ უსამართლო ტარიფებით არ იხდიდეს, რაც ნაცხელისუფლების ბანდამ დაადგინა. **ხდება პირიქით, ლარის გაუფასურებისა და თბოელექტროსადგურებისთვის დოლარით ნაყიდი გაზის გაძვირების საბაბით, სემეკმა ელექტროენერგიის ტარიფი ჯერ რეგიონებს, შემდეგ კი თბილისის მოსახლეობას გაუზარდა. პოლიტიკოსების შემდეგ ახლა უკვე სპეციალისტები და ექსპერტებიც ალაპარაკდნენ, რომ საქართველოში მაღალი კომუნალური ტარიფების საიდუმლო სემეკის დათვლის მეთოდოლოგიაშია, რომელიც მოსახლეობის ძარცვის ხარჯზე ენერგოკომპანიების ინტერესებს ემსახურება.**

მაინც რას უწუნებენ კონკრეტულად სემეკს ექსპერტები და სპეციალისტები? უპირველესად იმას, რომ ჩვენთან არსებული ელექტროტარიფის 75-პროცენტიანი წილი გამანაწილებელ კომპანიებზე მოდის, ხოლო გენერაციისა და გადაცემის წილი ტარიფში გაცილებით ნაკლებია. გაუგებარია, რატომ მუშაობს ყველაზე ნაკლებ მოგებაზე სამომხმარებლო გენერაციის კომპონენტი, როცა იმ ქვეყნებში, სადაც სატარიფო პოლიტიკა მოწესრიგებული და ჯანსაღია, ყველაფერი პირიქით ხდება. როცა ისმის კითხვა, რომელი რგოლი აძვირებს ტარიფს ყველაზე მეტად, რასაკვირველია, პასუხი ერთია – განაწილება სწორედ შუამავალი კომპანიების დამსახურება და სემეკის წაყრუების პოლიტიკაა დამნაშავე, რომ ტარიფი ჩვენთან ესოდენ მაღალია. თავად განსაჯეთ, „თელასამდე“ ელექტროენერგია რაღაც 5 თეთრად მიდის, მაგრამ ვიდრე მოსახლეობამდე მიაღწევს, გზადაგზა კაი 10-11 თეთრს იმატებს!

სპეციალისტ დავით შაბურიშვილის აზრით, ამჟამინდელი ტარიფის ბევრი კომპონენტი გადასინჯვასა და შემცირებას საჭიროებს. მაგალითად, 2008 წლიდან სემეკს „თელასისათვის“ დაწესებული აქვს განაწილების ქსელში 12,4 პროცენტი ნორმატიული დანაკარგი, რაც გათვალისწინებულია ტარიფში და ზრდის მას. მაგრამ არსებობს კანონქვემდებარე სხვა ნორმატიული აქტიც, რომლის თანახმად, თუ ფაქტობრივი დანაკარგი ნორმატიულზე ნაკლებია, მაშინ სემეკმა ის დაუყოვნებლივ უნდა დაიყვანოს ფაქტობრივამდე და ტარიფი შეამციროს. სემეკმა ეს მიდგომა მომხმარებლის საზიანოდ შეცვალა და საწარმოს დაუტოვა. **მხოლოდ რამდენიმე თვის წინ შეამცირეს დანაკარგი 12,4 პროცენტიდან ფაქტობრივ 5,3 პროცენტამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ტარიფი ხელოვნურად იყო გაზრდილი 7,1 პროცენტით და ამის წყალობით 2010 წლიდან ენერგოკომპანიებმა მრავალმილიონიან მოგებას გამოჰკრეს ხელი.**

სემეკს არა აქვს კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა, რაც ხელს უწყობს დარგის მონოპოლიზაციას. ევროკავშირის დირექტივით არ შეიძლება გამანაწილებელი კომპანია მიწოდების ლიცენზიებს ფლობდეს, რადგან მას უნდა ჰქონდეს ინტერესი, რაც შეიძლება იაფად შეიძინოს ელექტროენერგია. **წლიური ელექტრობალანსიდან ჩანს, რომ ენერგიის დაახლოებით 75 პროცენტი ჰიდროსადგურების მიერ გამომუშავებელია, დანარჩენი 25 პროცენტი კი თბოსადგურების წარმოებულია. ამის მიუხედავად, სემეკმა კომპანიებს ტარიფში თბოსადგურების წილი 53 პროცენტამდე გაუზარდა და დაეხმარა კომპანიებს თავისი თბოსადგურებიდან ძვირი ელექტროენერგიის გასაღებაში. ამასთან, სემაკი თავს არიდებს ზამრისა და ზაფხულის სეზონის მიხედვით ტარიფების დამტკიცებას, რაც ტარიფის შემცირების რეალური საშუალებაა.**

ტარიფების შემცირება არა, მაგრამ სემეკს სამაგიეროდ საკუთარი ხელფასებისა და პრემიების ზრდა კარგად ეხერხება. მან შექმნა 17 დეპარტამენტი, რომელთაგან ნახევარზე მეტს სემეკის ფუნქციასთან კავშირი არა აქვს. **სემეკის წლიური დაფინანსება 8 მილიონი ლარია, ხოლო მატერიალური სტიმულირების ფონდი, რომელიც ძირითადად თანამშრომლებისთვის პრემიების გასაცემად იხარჯება, 1.7 მილიონია. თავად სემეკის თავმჯდომარე მილიონერია, 6 წელიწადში ხელფასისა და პრემიის სახით მისმა შემოსავალმა 2 მილიონი შეადგინა.**

ასეა, ქვეყნის ენერგომარეგულირებლის შემოსავლები წლიდან წლამდე რეგულარულად იზრდება, პარალელურად იზრდება გადახდისუუნარო მოსახლეობის პროტესტიც, რომელსაც სისხლისმწოველი ტარიფების პერმანენტული ზრდა სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება.

ოთარ ხუციშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

სანათი ბოძები მოწესრიგებულ-შეკეთებულია

ბაგები-წყნეთის 10-კილომეტრიან მონაკვეთზე სანათი წერტილების მოწესრიგების სამუშაოები დასრულდა. ობიექტი თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მერის მოადგილე გიორგი სოლომონიასა და „სინათლის ქალაქის“ დირექტორ ვასილ ხორავასთან ერთად დაათვალიერა. აღნიშნულ მონაკვეთზე 260 გარეგანათების ბოძი შეიღება. სანათი ბოძების სამღებრო სამუშაოებზე „სინათლის ქალაქის“ 30 თანამშრომელი და 12 ერთეული ტექნიკა მუშაობდა. სანათი წერტილების მოწესრიგების სამუშაოები ზაფხულში დაიწყო.

დავით ნარმანიას თქმით, სამუშაოების დაწყებიდან დღემდე დედაქალაქის მასშტაბით, სულ 8 000-მდე სანათი წერტილი შეიღება.

იწმინდება წვიმებისგან დაზიანებული გზები

იმერეთისა და ქვემო სვანეთის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში, ინტენსიური წვიმების გამო, გზისპირა კლდეებიდან ქვათაცვენა გახშირდა. შედეგად, ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერი-ლენტეხი-ლასდილის საავტომობილო გზის 49-ე და 137-ე კმ-ებზე, დიდი მოცულობის კლდოვანი მასა ჩამოიშალა და გზის სავალი ნაწილი ჩაკეტა.

ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შედეგად, გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა უკვე აღდგენილია. პროფესიონალ მეკლდეურთა ჯგუფმა კლდის მასივიდან საშიში ლოდების ჩამოწმენდის სამუშაოები დაასრულა წყალტუბო-ცაგერის მონაკვეთზე და ანალოგიური სამუშაოები დაიწყო ლენტეხი-ლასდილის მონაკვეთზე. აღსანიშნავია, რომ წელს, გზისპირა კლდეების საშიში ლოდებისაგან გაწმენდის სამუშაოები, საქართველოს მასშტაბით, თითქმის ყველა მაღალმთიან მუნიციპალიტეტში ჩატარდა, ნათქვამია განცხადებაში. სტიქიის ლიკვიდაციის სამუშაოებს კომპანია „ავტოგზა ლენტეხი 99“ ახორციელებს.

ინტერპრესი

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №246

როგორ ვისწავლოთ ცხოვრება აწმყოში, როდესაც გვასევდიანებს წარსული და მომავლის გაურკვეველი შიშიც გვახლავს? დიდი ხანია, ფსიქოლოგები ცდილობენ, რომ ადამიანმა შეძლოს საკუთარი თავის მართვა, შეიგრძნოს ჰარმონიული მთლიანობა, მაგრამ ცნობილია, ეს ყოველივე არ გახლავთ იოლი.

არსებობს დარგი – გეშტალტ-თერაპია. ის ადამიანს ეხმარება შექმნას სრული წარმოდგენა საკუთარ თავზე და დაიწყოს ცხოვრება არა წარსულსა და ფანტაზიის სამყაროში, არამედ ახლანდელ დროში. ის დაფუძნებულია ფსიქიკის თვითრეგულირების უნარზე და ითვალისწინებს ადამიანის პასუხისმგებლობის პრინციპს ყველა თავისი ქმედების, განზრახვისა და მოლოდინისადმი.

„გეშტალტ“ გერმანული სიტყვაა და ნიშნავს „მთლიანს“. გეშტალტ-ფსიქოლოგია გულისხმობს ადამიანის შესწავლას მლიანად, სოციალური და ფსიქოლოგიური კუთხით.

გასულ საუკუნეში, 1951 წელს გამოიცა ფსიქოთერაპევტების ჰერლსის, ჰეფერლინისა და გუდმანის წიგნი გეშტალტ-თერაპიის შესახებ, რომელიც თავისი არსით აწმყოზეა დაფუძნებული.

პრინციპი „აქ და ამჟამად“ გულისხმობს წარსულში არშემდგარის ან წარუმატებელი სვლების აწმყოში მართვას და ორიენტირებულია აწმყოდან მომავალში გადასვლაზე.

საქართველოს ეროვნული გეშტალტ ინსტიტუტი

„ჰვირაძალის“ მკითხველს ვთავაზობთ ინფორმაციას, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ჩვენში ამ მიმართულებით და ვინ არიან ამ დარგის დამფუძნებლები საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ ფსიქოლოგიურ მეცნიერებას საქართველოში დიდი ტრადიციები აქვს და დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიამ ეროვნული სკოლის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი, ფსიქოთერაპია, შედარებით ახალი დარგია. საბჭოთა რეჟიმის დასუსტება-ნგრევის კვალდაკვალ, გასული საუკუნის 80-იან წლებში, ფსიქოთერაპიამ თანდათან დაიწყო სახელის მოხვეჭა და პოპულარიზება საქართველოში. ამ პერიოდში, დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ჩამოდიოდნენ ისეთი მსოფლიო დონის კორიფეები, როგორებიც იყვნენ, უკვე კლასიკოსებად აღიარებული ვირჯინია სატირი (ოჯახის ფსიქოთერაპიის ფუძემდებელი), კარლ როჯერსი (პიროვნებაზე ცენტრირებული ფსიქოთერაპიის ავტორი) და სხვანი. აკადემიურ სფეროში მოღვაწე ქართველმა ფსიქოლოგებმა დაიწყეს სხვადასხვა ფსიქოთერაპიული მეთოდების შესწავლა და სპეციალიზაცია. მათ შორისაა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **დიმიტრი ნადირაშვილი,** რომელმაც შემოიტანა საქართველოში გეშტალტ ფსიქოთერაპიული მეთოდი და დღეისათვის გვევლინება, ორიგინალური სახელმძღვანელოს „ექზისტენციალური გეშტალტ თერაპია“ ავტორი.

თანამედროვე ფსიქოთერაპიულ მეთოდებს შორის, გეშტალტ თერაპიამ საქართველოში განსაკუთრებული პოპულარულობა მოიპოვა. სტუდენტობა დიდ ინტერესს იჩენს მის მიმართ და ინტერნეტში ხშირად ვაწყდებით ახალგზედა გეშტალტისტების მიერ ინიცირებულ სხვადასხვა პროფესიულ აქტივობებს; რაც თავისთავად მეტყველებს ამ მეთოდის მზარდ ტენდენციაზე და კიდევ უფრო აქტუალურს ხდის ფსიქოთერაპიაში საერთაშორისო სტანდარტის შესატყვისი განათლების დანერგვას.

სწორედ ამ მიზნით, **2012 დაფუძნდა საქართველოს ეროვნული გეშტალტ ინსტიტუტი, ფსიქოთერაპიის სფეროში, ევროპაში ინტეგრირებული პირველი პროფესიული ინსტიტუტი საქართველოში, რომელიც ახორციელებს გეშტალტ თერაპიის სწავლების საერთაშორისო პროგრამას და საშუალებას აძლევს ამ სფეროში დასპეციალების მსურველ ჩვენს თანამოქალაქეებს მიიღოს ევროპული მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და მოიპოვოს საერთაშორისო ცენზი.**

საქართველოს ეროვნული გეშტალტ ინსტიტუტის დამფუძნებლები არიან: **ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დიმიტრი ნადირაშვილი და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი თეა გოგოტიშვილი.** ვინაიდან, ფსიქოთერაპიაში საერთაშორისო სტანდარტი ძალიან მაღალია და ევროპული აკრედიტაციის (ლიცენზიის) მიღება სერიოზულ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ამის გამო, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიაში, ევროპული აკრედიტაცია (ლიცენზია), დღეისათვის მხოლოდ საქართველოს ეროვნული გეშტალტ ინსტიტუტის დამფუძნებლებს, პროფესორებს - დიმიტრი ნადირაშვილსა და თეა გოგოტიშვილს აქვს მიღებული.

საქართველოს ეროვნული გეშტალტ ინსტიტუტში, სასწავლო პროგრამის ფარგლებში სისტემატურად ჩამოდიან და ასწავლიან მაღალი პროფესიული რეპუტაციის მქონე, საერთაშორისო სპეციალისტები. ინსტიტუტის მზარდი ბიბლიოთეკა მოიცავს 300-ზე მეტ ელექტრონულ წიგნს და დ. ნადირაშვილის ორიგინალურ სახელმძღვანელოს ქართულ ენაზე, რომლის ახალ, უფრო მასშტაბურ გამოცემაზე მუშაობენ ამ ეტაპზე ბატონი დიმიტრი და ქალბატონი თეა.

საქართველოს ეროვნული გეშტალტ ინსტიტუტი ჩართულია გეშტალტ თერაპევტების საერთაშორისო კვლევით ჯგუფში. კვლევის თემა ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე ფსიქოთერაპიაში. 2014 წლის მაისში, რომში გამართულ კონფერენციაზე, რომელშიც პროფესორები დიმიტრი ნადირაშვილი და თეა გოგოტიშვილი იყვნენ მიწვეულნი, ინსტიტუტისათვის შორს მიმავალი პერსპექტივებიც ამ მიმართულებითაც გამოიკვეთა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეროვნული გეშტალტ ინსტიტუტის სასწავლო პროგრამის სტუდენტები, დამფუძნებლებთან ერთად რეგულარულად მონაწილეობენ საერთაშორისო სიმპოზიუმებში, სამუშაო შეხვედრებსა (ვორქშოფები) და ტრენინგ-სემინარებში. 2016 წლის სექტემბერში, ინსტიტუტი ფართო შემადგენლობით მიემგზავრება სიცილიაში გეშტალტ ფსიქოთერაპევტების საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელსაც ევროპისა და ამერიკის ასოციაციები ერთობლივად პირველად ატარებენ.

ფსიქოთერაპიაში საერთაშორისო პროგრამის გავლისა და ევროპული ლიცენზიის (აკრედიტაციის) მიღების მსურველთათვის, „საქართველოს ეროვნული გეშტალტ ინსტიტუტი“, საქართველოდან გაუსვლელად, უმაღლესი განათლების მქონე პირებსა და უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს აძლევს საშუალებას მიიღონ ევროპული მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია.

საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეებს ეძლევათ ევროპული პროფესიული განათლება და აკრედიტაციის (ლიცენზირების) მიღების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს ევროპულ სივრცეში მუშაობის უფლების მოპოვებას და პროფესიული კვალიფიკაციის საერთაშორისო აღიარებას.

სასწავლო პროგრამა დამტკიცებულია ევროპაში EAGT-ის მიერ. კურსის კურატორია – EAGT სასწავლო სტანდარტების კომისიის თავჯდომარე – პროფ. ნურით ლევი (Nurith Levi). პროგრამას ახორციელებენ ევროპაში EAGT/EAP აკრედიტებული ფსიქოთერაპევტები.

ევროპული სტანდარტის შესაბამისად, პროგრამაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები. შესაძლებელია სწავლისა და მუშაობის შეთავსება, ვინაიდან ტრენინგები მიმდინარეობს 3 დღე (შაბათ-კვირის გამოყენებით) თვენახევრიანი შუალედებით.

პროგრამა შედგება 3 საფეხურისაგან:

პირადი ფსიქოთერაპია;

თეორია და მეთოდოლოგია;

კლინიკური პრაქტიკა სუპერვიზიით.

ევროპული სტანდარტის შესაბამისად, მე-2 საფეხურის დასრულების (2,5 წლის) შემდეგ, „საქართველოს ეროვნული გეშტალტ ინსტიტუტი უზრუნველყოფს“ პროგრამის მონაწილეების ფსიქოთერაპიულ მუშაობას სუპერვიზიით.

მხოლოდ საქართველოს ეროვნულ გეშტალტ ინსტიტუტში, თანამედროვე ფსიქოთერაპიულ მეთოდოლოგიასთან ერთად ისწავლება და ინერგება განწყობის თეორია და გეშტალტ-თერაპიის კვლევის მეთოდები.

საქართველოს ეროვნული გეშტალტ ინსტიტუტის წინსვლა და წარმატება, ასევე განპირობებულია იმით, რომ მისი დამფუძნებლები ფსიქოლოგიის აკადემიური სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან. პროფესორი დიმიტრი ნადირაშვილი, დიმიტრი უზნაძის პრემიის ლაურეატი – წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. „ქართული უნივერსიტეტის“ (SANGU) სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანია, სადაც ასევე მოღვაწეობს პროფესორი თეა გოგოტიშვილი – დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის სასწავლო საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელი. ორივე მათგანი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფსიქოლოგიისა და ფსიქოთერაპიის პოპულარიზების საქმეში, როგორც აკადემიურ, ასევე მედიატელესივრცეში.

ბატონი დიმიტრი ნადირაშვილი მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს შალვა ნადირაშვილის შვილი გახლავთ და ჩვენს დაძაბულ, არაერთმნიშვნელოვან ყოფიერებაში იმედს გვისახავს, რომ დიდი ტრადიციების ქართული ფსიქოლოგიური სკოლა კვლავ სათანადო სიმაღლეზეა.



თეატრალური კრიტიკის მნიშვნელობა

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია პერიოდულად უბრუნდება დისკუსიას თეატრალური კრიტიკის შესახებ. კარგია, როდესაც რედაქცია ფიქრობს კრიტიკის ავ-კარგიანობასა და მნიშვნელობაზე, ცდილობს გაიგოს რეჟისორთა და მსახიობთა აზრი მათზე დაწერილი რეცენზიების, პორტრეტებისა და, საერთოდ, თეატრალური აზროვნების შესახებ. წინა ნომრის („საუბარი ქართულ თეატრალურ კრიტიკაზე“. 2015, №3, გვ. 9-13) რესპონდენტებიც ავტორიტეტული პიროვნებები არიან, მაგრამ საერთო განწყობით ზერელე, განაწყენებული, ზოგ შემთხვევაში შეურაცხმყოფელი ტონი უფრო სჭარბობს, ვიდრე საქმიანი მსჯელობები. იკვეთება საოცარი ტენდენცია – შემოქმედს ყოველთვის უხარია მასზე დადებითი რეცენზიის წაკითხვა, მაგრამ, როცა საქმე თეატრალური კრიტიკის საერთო შეფასებას ეხება, მაშინ ავტორები თურმე ტენდენციურნი, სპექტაკლების შინაარსის მომყოლნი, არაპროფესიონალებიც კი არიან...

ამბობენ, რომ მხოლოდ ქება არ აინტერესებთ, მაგრამ, როდესაც კრიტიკულ შენიშვნებს კითხულობენ, სწყინთ, მისალმებასაც არ კადრულობენ, მაგრამ მიზეზს საკუთარ თავში არ ეძებენ. ეს იმითაცაა გამოწვეული, რომ თეატრმცოდნეები ამა თუ იმ მსახიობსა ან რეჟისორზე, სხვადასხვა მიზეზთა გამო, არ წერენ. ამ შემთხვევაში ისინი ამბობენ, ფავორიტები ჰყავთო... იმაზე კი აღარ ფიქრობენ, რომ მათი შემოქმედება ნაკლებად აქტუალურია, საშუალო ან სუსტი შესრულებით გამოირჩევა და კრიტიკოსისთვის საინტერესო არ არის. რეცენზიის წერა შემოქმედებითი პროცესია, ისეთივე, როგორიც რეპეტიციაა და მას თავისი განწყობა, ემოცია, დამოკიდებულება სჭირდება, რასაც, შეიძლება, სპექტაკლი ვერ აძლევდეს კრიტიკოსს. ისეც ხდება, როდესაც ავტორი პირად ურთიერთობებს არ ამწვავებს. ალბათ, ასეთი მიდგომა არასწორია, ვინაიდან მსახიობები და რეჟისორები მათგან ობიექტურობას ელიან. კარგი იქნებოდა რესპონდენტებს აეხსნათ, რაში მდგომარეობს კრიტიკოსთა ტენდენციურობა, როცა სხვას აქებენ, მათ კი ნაკლებად?! ისინი არ უფიქრდებიან, რომ ამ შემთხვევაში თავადვე არიან ტენდენციურობის მაგალითი. არავინ საუბრობს თეატრმცოდნის ნაშრომის ისტორიულ მნიშვნელობაზე, რომლის წყალობითაც თაობებს გადაეცემა მათი შემოქმედება.

ძალიან კარგია, რომ რედაქციის შეკითხვაზე, იწერება თუ არა უარყოფითი რეცენზიები, ათივე რესპონდენტი ერთხმად პასუხობს – იწერება. ამ რეცენზიების ობიექტები თავადვე ყოფილან. შეიძლება კითხვა ზუსტად არ არის დასმული და უარყოფითის ნაცვლად უნდა იყოს „კრიტიკული რეცენზიები“, რაც ცვლის კითხვის შინაარსს და შეიძლება ამიტომაც მოდის ზოგისგან აგრესიული დამოკიდებულება. ასევე ყველა შემოქმედი პასუხობს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მათთვის ყურადსაღები არაფერი დაბეჭდილა. სწორედ ამან გამიჩინა კითხვა – კითხულობენ კი?

ამასთან დაკავშირებით ერთ შემთხვევას გავიხსენებ. ერთმა მსახიობმა მკითხა, შენი აზრი მაინტერესებს და ჩემს სპექტაკლს როდის ნახავო. ვუპასუხე – სპექტაკლი რამდენჯერმე ვნახე, წერილიც დავბეჭდე და წლის საუკეთესო რეცენზიის პრემიაც მივიღე-მეთქი. ძალიან გაუკვირდა და წაკითხვას შემპირდა, თუმცა თავისი აზრი აღარ უთქვამს... მეორე შემთხვევასაც გავიხსენებ: ერთ-ერთი თეატრის თბილისში გასტროლების შესახებ რეცენზია დავწერე, სადაც წარმოდგენილ სპექტაკლებზე დადებითი და კრიტიკული შენიშვნები გამოვთქვი. რა თქმა უნდა, დადებითის შესახებ მადლობა არ უთქვამს, არც კრიტიკულ შენიშვნებზე უსაყვედურია, მაგრამ ათ წელზე მეტია არ მესალმება. კარგად იყოს და როგორმე დღემდე ვძლებ მისი „ძვირადღირებული“ სალმის გარეშეც... ამ რეჟისორს აზრადაც არ მოსვლია ჩაფიქრებულიყო თავისი სპექტაკლების ავკარგიანობაზე, მაგრამ სიმართლის თქმა ეწყინა.

რეჟისორები წერენ, რომ დასრულებულ სპექტაკლში შესწორებები არ შეაქვთ, კრიტიკოსს რომ ეთანხმებოდნენ კიდევაც. მართლაც ძნელია მზა სპექტაკლის შეცვლა. ამიტომაც უნდა იყოს პრემიერამდე კრიტიკოსებისთვის სპეციალურად დანიშნული სპექტაკლი, რომ დამდგმელი კოლექტივისთვის მისაღები შენიშვნები რეალურად გასათვალისწინებელი იყოს. ამისთვის გახლდათ ამ ოცდაათიოდე წლის წინათ საქართველოს თეატრალური საზოგადოების ინიციატივა, როდესაც ყველა თეატრს თეატრმცოდნე მიამაგრა. სპექტაკლებიც ფასდებოდა და კრიტიკოსიც ჩაბმული იყო შემოქმედებით პროცესში. სამწუხაროდ, ეს მნიშვნელოვანი წამოწყება ჩაკვდა. მე ახალციხის თეატრს ვკურირებდი. იმ წლების (1988-1994) განმავლობაში ყველა სპექტაკლი მქონდა შეფასებული, რეპეტიციებსაც ვესწრებოდი და შენიშვნებსაც გამოვთქვამდი, რასაც ყოველთვის საქმიანად აღიქვამდნენ და შედეგებიც კოლექტივი კმაყოფილი იყო. ასევე ოზურგეთის თეატრში რამდენიმე წლის (2009-2013) განმავლობაში პრემიერებზე ჩავდიოდი. შემდეგ, დამდგმელ ჯგუფთან ერთად, სპექტაკლს ვიხილავდი და რეჟისორებიცა და მსახიობებიც, შეძლებისდაგვარად, ითვალისწინებდნენ ჩემს მოსაზრებებს. ასეთი შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა უნდა იყოს ყველა თეატრში და მაშინ სხვაგვარი დამოკიდებულებები გაჩნდება...

ბატონი თემურ ჩხეიძე შეკთხვაზე – უწევს თუ არა ანგარიშს ქართულ თეატრალურ კრიტიკას, პასუხობს, რომ გააჩნია, ვინ წერს, ვისზე წერს, მასალას გააჩიაო. ვფიქრობ, ბატონ თემურს ავტორის ნაცვლად თავად რეცენზიის მაღალმხატვრულობა უნდა აინტერესებდეს. ამ შემთხვევაში ბატონი თემური მისთვის არსებულ ავტორიტეტებს უწევს ანგარიშს და არა ობიექტურ სინამდვილეს. შეიძლება, ნაკლებად ცნობილმა კრიტიკოსმა ძალიან კარგი სტატია დაწეროს, არც იმას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვისზე წერს, მთავარია, სიმართლე ითქვას, ხოლო „მასალას გააჩნიაო“ რომ თქვა, ამ ფრაზის მნიშვნელობა ვერ გავიგე – ბუნდოვნადაა ნათქვამი! მისასალმებელია, ბატონი თემურის კეთილგანწყობა კრიტიკისადმი და ასეთი დამოკიდებულება ორივე მხარეს წაადგება. სამაგალითოდ, ბატონ თემურთან საუბარი მინდა გავიხსენო. მაშინ, ჯერ კიდევ სტუდენტმა, რეცენზია დავწერე მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში დადგმულ მის სპექტაკლზე. რეჟისორის აზრი მაინტერესებდა და რუსთაველის თეატრის ფოიეში შევხვდით. ჩემს შეფასებასა და შენიშვნებს უემოციოდ შეხვდა, გაიზიარა კიდეც და მითხრა – **თქვენმა თაობამ სიმართლე უნდა წეროსო.** მივხვდი, რომ მისთვის და სხვებისთვისაც სიმართლის მოსმენა იყო მთავარი და დღემდე ამ პრინციპით ვმოღვაწეობ. აი, ეს გახლავთ ამ შეხვედრის ჭეშმარიტი ღირებულება.

შეურაცხმყოფელია ბატონი **ნოდარ მგალობლიშვილის** ნათქვამი: „კრიტიკოსებს ანალიზის უნარი არ გააჩნიათ. მათ შეუძლიათ მოწონება ან არმოწონება. ისინი აღწერენ მათთვის საინტერესო სცენებს სპექტაკლიდან და ამით იფარგლებიან. მე დღევანდელ კრიტიკოსებს ვურჩევდი ბ. ბელინსკის წაკითხვას.“ გაუგებარია, ბატონი ნოდარი რატომ ლანძღავს თეატრმცოდნეთა ყველა თაობას? რომ რეჟისურის ინჩიბინჩი არ იციან, მხატვრობასა და მუსიკაში ვერ ერკვევიან. იქნებ სათანადო მაგალითებიც მოეყვანა? ასე დაუსაბუთებლად მსჯელობა არ შეიძლება, რასაც უკიჟინებს თეატრმცოდნეებს. ესაა თქვენი პასუხი იმ კრიტიკოსებისადმი, რომლებმაც არაერთი სტატია მიუძღვნეს თქვენს შემოქმედებას? ბატონი ნოდარი კრიტიკოსებს ბელინსკის წაკითხვას ურჩევს. მას შემდეგ ორმა საუკუნემ განვლო და ბევრი რამ შეიცვალა ცხოვრებაში, შემოქმედებასა და კრიტიკაში...

ბატონი ნოდარი მართალია, რომ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში სწავლება შესუსტდა. აღარც იმ დონის პედაგოგები არიან და ნიჭიერ სტუდენტთა დეფიციტიცაა. პირადად თეატრმცოდნეობის ჩემი ჯგუფი სწავლობდა რეჟისურისა და სამსახიობო ოსტატობის საფუძვლებს, რომელსაც ბატონი მიხეილ თუმანიშვილი გვიკითხავდა და საკურსო სპექტაკლიც ვითამაშეთ. ვესწრებოდით მისი ჯგუფის რეპეტიციებს, რომლის ბაზაზეც კინომსახიობთა თეატრი შეიქმნა. სასცენო მოძრაობას ბატონი კოწო ბადრიძე გვასწავლიდა, ხელოვნების ისტორიას – პროფესორი ოთარ ფირალიშვილი, ხოლო მუსიკის ისტორიას ქალბატონი მირა ფიჩხაძე გვიკითხავდა. ასე რომ, არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ბატონ ნოდარს ჰგონია!

ბატონი **ჟანრი ლოლაშვილი** ამბობს: „არანაირ კრიტიკას ანგარიშს არ ვუწევ საერთოდ. აზრიან შეფასებებს კი ვითვალისწინებ და ანგარიშსაც ვუწევ.“ განა კრიტიკა აზრიანი შეფასება არ არის?

ბატონი ჟანრი ამბობს, რომ მისთვის კატეგორიული ტონი მიუღებელია, თავად კი კატეგორიულად აცხადებს: „მე არ მჭირდება კონტექსტების გახსნა და განსაკუთრებული მსჯელობა... მის დიდაქტიკურ ტონებსა და კატეგორიულობას მტკიცებულებად არ ვღებულობ. ხანდახან ის სასამართლო ქრონიკა უფროა, ვიდრე ხელოვნებასთან მიახლოება“. თუ სტატიაში რეჟისორის ჩანაფიქრი, გადაწყვეტა არ აისახა და მსჯელობა არ იქნა როლების შესრულების შესახებ, მაშინ რაღა რეცენზია იქნება? ხოლო „დიდაქტიკური ტონი“ უკვე ბატონი ჟანრის პირადი სუბიექტური შეხედულებაა – კრიტიკოსი არავის არაფერს ასწავლის, იგი აფასებს სპექტაკლს და, თუკი შენიშვნებს გამოთქვამს, ეს უკვე თეატრის პრობლემაა და არა კრიტიკოსის. არ ვიცი, ბატონი ჟანრი რომელმა კრიტიკოსმა „გაასამართლა“, მაგრამ მასზე მსგავსი რეცენზია არ წამიკითხავს და გაუგებარია რატომ, ან ვისზეა ასე გაბრაზებული?

სასიხარულოა, რომ ქალბატონი ნანი ჩიქვინიძე, სხვა კოლეგებისგან განსხვავებით, კრიტიკოსებს პატივს მიაგებს. რა თქმა უნდა, რეცენზია დასაბუთებული უნდა იყოს და კარგისა და ცუდის, ან პირადი მოწონების აღნიშვნით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. მაგრამ კითხვაზე, რომელი რეცენზია დაგამახსოვრდათო, ქალბატონი ნანი თავის დამოკიდებულებას კრიტიკისადმი ივიწყებს და მხოლოდ თავის მეუღლზე დაწერილ რეცენზიას იხსენებს, ისიც გაზეთ „საგარეჯოს რკინიგზაში“ დაბეჭდილს. ესეც ხომ ტენდენციურობა გახლავთ? დავიჯერო, სხვაგან პროფესიული რეცენზია არსად დაბეჭდილა? ობიექტური მაშინ იქნებოდა ქალბატონი ნანი, რომ სხვების სტატიებიც დაესახელებინა...

ვეთანხმები ქალბატონ **ნანა ფაჩუაშვილს,** რომ კრიტიკოსი უნდა ხსნიდეს რეჟისორის ჩანაფიქრს, შიფრავდეს გარკვეულ დეტალებს და მაყურებელს ეხმარებოდეს სპექტაკლის აღქმა-გაანალიზებაში. თავისი მეგობრული, საქმიანი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულებით გამოირჩევა **ლევან წულაძის, ნიკა თავაძის, გიორგი სიხარულიძის, გოჩა კაპანაძისა** და **მარინა კახიანის** მოსაზრებები. სწორედ საკითხისადმი ასეთი პროფესიული მიდგომით შეიძლება სასურველი შედეგის მიღწევა. კრიტიკოსისა და თეატრის ურთიერთობას შემოქმედებითი წინსვლა უნდა მოსდევდეს, ორივე მხარისთვის სასარგებლო უნდა იყოს და არა ნიშნისმოგებით ვესაუბრებოდეთ ერთმანეთს. ბატონი **გოჩა კაპანაძე** სურვილს გამოთქვამს, რომ ახალგაზრდა კრიტიკოსებს მეტი პროფესიონალიზმი ჰქონდეთო, რასაც დროთა განმავლობაში შეძენილი გამოცდილებით აუცილებლად მიაღწევენ. იგი აღნიშნავს, რომ ზოგი რეცენზია ჟურნალისტურს ჰგავს და ღრმა ანალიზს არ მოიცავსო.

ქალბატონი **მარინა კახიანი** სწორად აღნიშნავს, რომ კრიტიკოსმა სპექტაკლი რამდენჯერმე უნდა ნახოსო. ეს აუცილებელია დადგმის ღრმა და დეტალური ანალიზისთვის. საკამათოა მისი მოსაზრება, რომ კრიტიკოსებს ჰყავთ საყვარელი არტისტები და, რომ: „რაც არ უნდა გააკეთოს მსახიობმა, ისინი არ ხედავენ და არ აფასებენ მას, ხოლო საყვარელი მსახიობის ცუდად შესრულებულ როლს შეიძლება უმაღლესი შეფასება მიანიჭონ.“

სამაგალითოდ შეიძლება მოვიყვანოთ ბატონი **გოგი გეგეჭკორის** მოსაზრება: „ადრე ჩვენ რეცენზიებით ვსულდგმულობდით. სულმოუთქმელად ველოდებოდით რეცენზიის დაბეჭდვას. კრიტიკას უნდა გაუძლო. თუ გაგაკრიტიკეს, უნდა დაფიქრდე. არ უნდა გაუწყრე კრიტიკას. მაყურებელიც უნდა გაიზარდოს კრიტიკაზე“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2002 წ. 16 იანვარი. №13. გვ. 6). აი, ეს გახლავთ განათლებისა და კულტურის მაგალითი. შემთხვევითი არ იყო, რომ ბატონ გოგის ინტელიგენტ მსახიობს უწოდებდნენ. რეცენზიაში მსახიობმა მისთვის სასარგებლო რჩევა უნდა დაინახოს და ინტრიგას არ უნდა ეძებდეს, რაც პირველ რიგში მისთვის იქნება საზიანო.

ჟურნალის გამოკითხვა „საუბარი ქართულ თეატრალურ კრიტიკაზე“, სამწუხაროდ, არ გამოვიდა, მაგრამ თეატრალურ კრიტიკოსთა ლანძღვა ნამდვილად შედგა. არც ერთ რესპონდენტს არ აღუნიშნავს თეატრმცოდნის შრომა, რომელიც, ფაქტობრივად, ენთუზიაზმზეა დაფუძნებული და გაცილებით ნაკლებად ანაზღაურებადია, ვიდრე რეჟისორისა და მსახიობის შემოქმედება. არავის აღუნიშნავს კრიტიკის მნიშვნელობა ქართული თეატრის ისტორიისთვის. ვერ დავინახე კრიტიკოსისადმი პატივისცემა, მისი შრომის დაფასება. მხოლოდ ურთიერთპატივისცემისა და საქმიანი საუბრის შემთხვევაში ექნება აზრი ამ საკითხზე მსჯელობას.

გუგაზ მეგრელიძე

ჩანართზე მუშაობდნენ
ნინო ხოფერია და კახა ქორიძე

◎ მოკვეთა

მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურები დაიწყო

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის პროცედურები დაიწყო. შესაბამისი განცხადება გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გააკეთა.

წულუკიანის განმარტებით, აღნიშნულის შესახებ წერილობით ეცნობება დაინტერესებულ პირს – მიხეილ სააკაშვილს უკრაინაში, რომელსაც მიეცემა გონივრული ვადა საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.

„საქართველოს კონსტიტუციის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვება წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძველს.

ასეთი ინფორმაციის დამადასტურებელი ფაქტის არსებობის შემთხვევაში, იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახური იწყებს საქმის წარმოებას სხვა ქვეყნის მოქალაქე პირისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის თაობაზე და შესაბამის დასკვნას, პრეზიდენტის №237 ბრძანებულების 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, უგზავნის საქართველოს პრეზიდენტს.

2015 წლის 30 მაისს, ქართულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ უკრაინის მოქალაქეობის მოპოვების თაობაზე.

ასევე, უკრაინის პრეზიდენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბრძანებულება მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ. ეს ბრძანებულება, 2015 წლის 30 ოქტომბრის 12 საათის მდგომარეობით, კვლავაც არის გამოქვეყნებული ვებ-გვერდის იმავე მისამართზე. თუმცა, მოგვიანებით, მედიაში ასევე გაჩნდა განსხვავებული ინფორმაციაც. კერძოდ, 2015 წლის 24 ივლისს, თავად მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭება გვიანდებოდა.

ამ განცხადებამ გააჩინა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა მიხეილ სააკაშვილისთვის უკრაინის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება რეალური და იყო თუ არა ის კვლავ ძალაში.

საქართველოს სახელმწიფო კანონის უზენაესობას ეფუძნება. საქართველოს ხელისუფლებაში 2012 წლის 1 ოქტომბერს მოსული პოლიტიკური ძალა მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების განუხრელად დაცვას და ყველა თანასწორია კანონის წინაშე.

საქართველოს მთავრობის კონსტიტუციური ვალდებულებაა, არ გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელთა შედეგადაც საქართველოს მოქალაქე მოქალაქეობის არმქონე პირად, ანუ აპატრიდად იქცევა და შესაბამისად აღარ იქნება არც ერთი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ (იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლი). ამგვარი ნაბიჯები ასევე ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფოს მიერ 1961 წლის მოქალაქეობის არმქონე პირთა შემცირების თაობაზე გაეროს კონვენციის ფარგლებში აღებულ საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს.

შესაბამისად, ყოველგვარი ეჭვის გამოსარცხად იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში მიხეილ სააკაშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის მიზნით დაწყებული პროცედურა არ დაარღვევდა საქართველოს კონსტიტუციას, კანონებსა და საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს, და საქართველოს ეს მოქალაქე არ დარჩებოდა ყოველგვარი მოქალაქეობის გარეშე, გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები.

2015 წლის 22 სექტემბერს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურმა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით, მიმართა უკრაინის მიგრაციის სახელმწიფო სამსახურს და მოითხოვა ინფორმაცია მიხეილ სააკაშვილის მოქალაქეობრივი კუთვნილების თაობაზე.

წერილის უპასუხოდ დატოვების გამო, 2015 წლის 19 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე დაუკავშირდა საქართველოს საელჩოს უკრაინაში და ითხოვა შუამდგომლობა უკრაინის მიგრაციის სახელმწიფო სამსახურთან, რათა გამოგზავნილიყო ოფიციალური პასუხი.

2015 წლის 23 ოქტომბერს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ გამოუგზავნა უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2015 წლის 22 ოქტომბრით დათარიღებული ნოტა, რომლის მიხედვითაც, „მიხეილ სააკაშვილი მიღებულ იქნა უკრაინის მოქალაქედ 2015 წლის 29 მაისს უკრაინის პრეზიდენტის №301/2015 ბრძანებულებით, რომელიც დღესაც ძალაშია“.

მოცემული ნოტის საფუძველზე, რომელიც უკრაინის სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების დაცვით, დღეს, 2015 წლის 30 ოქტომბერს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ იწყებს მიხეილ სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის საქმის წარმოებას.

აღნიშნულის შესახებ წერილობით ეცნობება დაინტერესებულ პირს უკრაინაში, რომელსაც მიეცემა გონივრული ვადა საკუთარი პოზიციის ჩამოსაყალიბებლად.

ამის შემდგომ, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მოქალაქეობისა და მიგრაციის სამსახურის დასკვნა მიხეილ სააკაშვილისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანული კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, გადაეგზავნება საქართველოს პრეზიდენტს“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

დედამიწის ზურგზე

სოციოლოგების აზრით, მეორე შვილის გაჩენის უფლებით ისარგებლებს 100 მილიონი ჩინური ოჯახი

ექსპერტების აზრით, მეორე ბავშვის გაჩენის უმრავლეს შემთხვევაში მონაწილეობას მიიღებენ ოჯახები, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ. პროგნოზის მიხედვით, უახლოეს პერიოდში ამ უფლებას გამოიყენებენ ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ 1970-იან წლებში და რომლებსაც ამოძრავებთ სურვილი „გამოიყენონ უკანასკნელი ავტობუსი“. 1980-იან და 1990-იან წლებში დაბადებულებს კი არ აქვთ სურვილი სასწრაფოდ გააჩინონ მეორე ბავშვი.

ბოლივიის საკონსტიტუციო სასამართლომ კანონიერად ცნო რეფერენდუმი პრეზიდენტის ხელახალი არჩევნების შესახებ

საკითხი შეეხება ქვეყნის ძირითად კანონში ცვლილებების შეტანას, რომლებიც ნებას აძლევენ პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს არჩეული იქნენ ზედიზედ ორჯერ. მოქმედი კანონმდებლობით, სახელმწიფოს მეთაურს აქვს უფლება მხოლოდ ერთხელ იქნეს არჩეული. რეფერენდუმი საკითხით კანონმდებლობის ცვლილებების შესახებ იგეგმება თებერვლისათვის.

თურქეთში, ოპოზიციური ტელეკომპანიების ოფისების შტურმით აღებას აშშ და დასავლეთი გამოეხმაურნენ

თურქი სამართალდამცველები „კოზა იპეკის“ ჰოლდინგის კუთვნილი ტელეკომპანიების, Kanalturk-bcf if Bugun TV-ის ოფისებში 28 ოქტომბერს შევიდნენ. შენობებთან შეკრებილი აქტივისტები და მედიის წარმომადგენლები კი, ძალისმიერი გზით დაარბიეს.

თურქეთის ხელისუფლებამ „კოზა იპეკის“ მფლობელობაში მყოფი 22 კომპანიის მართვა ჩაიბარა. ოფიციალური ანკარა ჰოლდინგს აშშ-ში მცხოვრები თურქი ოპოზიციონერის - ფეთჰულაჰ გიულენის მხარდაჭერაში ადანაშაულებს. რეიდები 1 ნოემბერს დაგეგმილი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ფონზე ჩატარდა.

როგორც თურქული გამოცემა „Today Zaman“-ი წერს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ, მოვლენების შეფასებისას განაცხადა, რომ აშშ მოუწოდებს თურქეთის ხელისუფლებას, „დაიცვას უნივერსალური დემოკრატიული ფასეულობები“.

ევროპარლამენტის პრეზიდენტმა მარტინ შულცმა მომხდართან დაკავშირებით ღრმა შეშფოთება გამოთქვა. „თავისუფალი მედია დემოკრატიის ქვაკუთხედია“, – აღნიშნა მან „ტვიტერის“ საკუთარ მიკრობლოგში. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის პრესმდივანმა მაია კოსიანჩიჩმა განაცხადა, რომ ევროკავშირი „ყურადღებით აკვირდება“ „კოზა იპეკის“ ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს.

სამართალდამცავებმა დაითვალეს თითქმის 600 მსხვერპლი რუსული ავიაციის დარტყმებისაგან სირიაში პუტინის ოპერაციის ერთი თვის განმავლობაში

სირიის ადამიანის უფლებებისათვის ზედამხედველობის საბჭოს მონაცემებით, რუსეთის ავიაციის დარტყმებისგან 30 დღის განმავლობაში 595 კაცი დაიღუპა. დოკუმენტურად დადასტურებულია „ისლამური სახელმწიფოს“ 131 ბოევიკის გარდაცვალება. ასევე დაიხოცა 279 ზომიერი და რადიკალური ოპოზიციური ჯგუფების წარმომადგენელი. ამას გარდა, დაიხოცა ასევე 185 მშვიდობიანი მცხოვრები.

ჩინეთმა გააფრთხილა აშშ რისკის შესახებ, დაიწყოს ომი სამხრეთ ჩინეთის ზღვაში „უმნიშვნელო ინციდენტის გამო“

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი ადმირალი უ შენლი გამოვიდა ასეთი განცხადებით ვიდეოკონფერენციაზე ამერიკელ ადმირალ ჯონ რიჩარდსონთან. მან ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებებს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში „პროვოკაციული და სახიფათო“ უწოდა. ამ დღეებში ამერიკული სარაკეტო ნაღმტყორცნი შევიდა ნაწილის ხელოვნური კუნძულების 12-მილიან ზონაში.

ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ხელმძღვანელმა სირიის დაბომბვა ახსნა პუტინის „იმპროვიზირებით“

მან განაცხადა, რომ „იმპულსურ“ პუტინს ძნელად თუ ექნება ხანგრძლივი გეგმა და იგი ყოველდღე მოქმედებს ვითარების შესაბამისად. ჯეიმს კლეპერის კომენტარები გაკეთდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ჯონ კერის რუსეთის ოფიციალურ პირებთან შეხვედრის წინ ვენაში.

მოლდოვას პარლამენტმა მთავრობის გადადგომას მხარი დაუჭირა

მოლდოვას პარლამენტმა, მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ მინისტრთა კაბინეტს უნდობლობა გამოუცხადა, ქვეყნის მთავრობის გადადგომას მხარი დაუჭირა. გადაწყვეტილებას 101 დეპუტატიდან კენჭი უყარა 65-მა დეპუტატმა.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, პრემიერ-მინისტრმა ვალერი სტრელეცმა მინისტრთა კაბინეტი სამი თვის წინ ჩამოაყალიბა. მანამდე პრემიერ-მინისტრი აცხადებდა, რომ თანამდებობის დატოვებას არ აპირებდა, რადგან, მისი თქმით, ეს მისი მხრიდან მისდამი წაყენებული ბრალდებების აღიარება იქნებოდა.

„სერიოზულად მადარდებს ქვეყნის ბედი. ვხედავ, რომ პოლიტიკოსთა ნაწილს სურვილი არ გააჩნია მინიმალურ სტაბილურობას დაუჭიროს მხარი ქვეყანაში“, – განაცხადა სტრელეცმა.

თვეზე მეტია, მოლდოვას დედაქალაქში პროტესტი არ ცხრება, რომლის მონაწილეები ქვეყანაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ გამოდიან და დამნაშავეთა დასჯას ითხოვენ.

ურუგვაის პრეზიდენტმა გადაარჩინა ახალგაზრდა ფრანგი თვითმფრინავის ბორტზე

ფრენის დროს ქალიშვილს დაეწყო მწვავე ალერგიული რეაქცია და სულის შეხუთვა არაქისიანი საკვების მიღების შემდეგ. ეკიპაჟმა მოუწოდა, რომ ამ ფაქტს ექიმი გამოხმაურებოდა. ტაბარე ვასკესმა, რომელიც საფრანგეთში მიფრინავდა და რომელიც პროფესიით მედიკოსია და მისმა პირადმა ექიმმა სარეანიმაციო ღონისძიებები განახორციელეს.

ყირგიზეთში გარდაიცვალა დასთან - ზიბა რეზანანოვასთან გაყოფილი გიბა



სიამის ტყუპებს ზიტასა და გიტას ჰქონდათ 3 ფეხი და საერთო მენჯი, რომელიც უნდა გაყოფილიყო. მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ დებს ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს მოსკოვში ფილატოვის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ კლინიკაში.

◎ 0901-30-30-30

„იავნანა“ – ეს ჩვენ ვართ!

საქველმოქმედო კონცერტი წარჩინებული სტუდენტებისთვის

ერთი შინაურული საღამო, როგორც მას მსოფლიო საოპერო მომღერალმა პაატა ბურჭულაძემ უწოდა, კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა.

ფონდმა „იავნანამ“ და „საქართველოს ლატარიის კომპანიამ“ საქველმოქმედო აქცია გამართა სახელწოდებით „იავნანას სალონი“. საღამო მართლაც სალონური იყო, არანაკლებ შთამბეჭდავი, ვიდრე გრანდიოზული მარათონები, რომელიც არაერთხელ შემოუთავაზებია ჩვენთვის ამ ორგანიზაციებს. კონცერტში მონაწილეობდნენ ფონდის სტიპენდიატები და ის ახალგაზრდები, რომელთაც სხვადასხვა დროს ნაწილობრივ დაუფინანსდათ სწავლის საფასური და დღეს ბევრი მათგანი წარმატებით გამოდის მსოფლიოს პირველი კლასის თეატრების სცენაზე: **ცნობილი ბარიტონი მიხეილ ქირია, რომელიც ლასკალაში მღერის, საერთაშორისო პრემიების ლაურეატი ტენორი ირაკლი მურჯიკნელი, სოპრანო მარიკა გულორდავა, რომლის მონაცემებითაც მონსერატ კაბალიეც კი აღფრთოვანდა და თავის კონცერტზე გამოიყვანა... პაატა ბურჭულაძის სახელობის პრემიის ლაურეატები სოპრანო მარიამ როინიშვილი, მეცო-სოპორანო ნუცა ზაქაიძე, სოპრანო მარიამ ნაჭყებია, სოპრანო სალომე ჯიქია, ტენორი ოთარ ჯოჯიკია და ბარიტონი გიორგი წამალაშვილი. მათ უზადო კონცერტმეისტერებთან ერთად ცნობილი კომპოზიტორების ოპერებიდან არიები შეასრულეს.**

პაატა ბურჭულაძეს ეს საღამო სიამოვნებით რომ მიჰყავდა, ყოველ მის ჟესტსა და გამოხედვაში იგრძნობოდა. მით უფრო, ჩანდა მისი სიამაყე, რომელსაც ეს მომღერლები იწვევდნენ. **„ესენი არიან ნაწილი იმისა, თუ რა არის „იავნანას“ მონაპოვარი. საქართველო ის პატარა ქვეყანაა, რომელიც მსოფლიოს უმაღლესი ხარისხის მომღერლებით ამარაგებს. ფონდი მე ხომ არა ვარ, „იავნანა“ ეს ვართ ჩვენ!“,** – აღნიშნა პაატა ბურჭულაძემ.

დაარსების დღიდან წახალისების პროგრამის ფარგლებში 850-ზე მეტ ახალგაზრდას დაუფინანსდა სწავლის საფასური. განსაკუთრებულად ნიჭიერი სტუდენტებისთვის 2015 წლიდან პაატა ბურჭულაძისა და ფონდის სტიპენდიები უკვე 300 ლარს შეადგენს. როგორც ვიცით, „იავნანა“ სოციალური ორგანიზაციაა და ეხმარება ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებს, მრავალშვილიანებს, მოწყვლად ფენებს... აღნიშნულ პროექტს „საქართველოს ლატარიის კომპანია“ შეუერთდა. 2014-2015 წლებში ფონდთან ერთად მიმდინარე აქციის ფარგლებში სოციალურად დაუცველ 64 ოჯახს გაუწია დახმარება და საოცნებო ნივთი შეუძინა „იავნანას“ მზრუნველობის ქვეშ მყოფ 236 ბავშვს, სხვადასხვა სახის დახმარება გაეწია 10 წარჩინებულ სტუდენტს...

„იავნანას სალონიც“, როგორც აღვნიშნე, საქველმოქმედო საღამო იყო. ფონდის ერთ-ერთი მხარდამჭერები გერმანიიდან 13 ივნისს სტიქიის დროს დაზარალებულ სამ ოჯახს დაეხმარნენ. კონცერტის დამთავრების შემდეგ კახაბერ ბუჩუკურს, ნინო დავითურსა და ნანული მეზურნიშვილს 1000-1000 ევრო გადასცეს.

თავის მხრივ „საქართველოს ლატარიის კომპანიამ“ 1500 ლარის სტიპენდიით დაჯილდოვა სხვადასხვა უნივერსიტეტის გამორჩეული სტუდენტები. ამ კომპანიას ზოგადად 200 ათას ლარზე მეტი აქვს დახარჯული ქველმოქმედებისათვის. გოგი ზექალაშვილი ივანე ჯავახიშვილის თბილისის უნივერსიტეტიდან, ალექსანდრე ქიბელაშვილი თბილისის კონსერვატორიიდან, ენრიკო დანელია სამედიცინო ინსტიტუტიდან, ვერიკო ჯამასტიშვილი სოხუმის უნივერსიტეტიდან, მაგდა ორმოცაძე თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტიდან, სალომე გურჩიანი აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტიდან, ჯუნა ნონიაშვილი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტიდან, თორნიკე გოგიჩაიშვილი სამედიცინო ინსტიტუტიდან, კეკე ცისკარიძე საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტიდან „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ ქველმოქმედების ნუსხაში მოხვდნენ. ბუნებრივია, მათ ეს საკუთარი შრომისა და ნიჭის წყალობით დაიმსახურეს.

წარმატებებს ვუსურვებთ ახალგაზრდებს! ერთგვარი სიამაყეც კი არის, რომ ფონდის მხარდაჭერილი სტიპენდიატი გახდე. „იავნანას“ ქველმოქმედება კარგად არის დაცდილი, რადგან ამ გზით წინსვლა და მიზნის მიღწევა ადვილია, ყოველ შემთხვევაში, აქამდე არავის გაჭირვებია. მადლობა ამისთვის „იავნანას“, მთელ შემოქმედებით გუნდს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ერთხელ მაინც ჩაუგდია „იავნანას“ ყულაბაში თანხა, ან ერთხელ მაინც აუკრეფია ნომერი 0901-30-30-30.

თეა მოსია

◎ აბაშობა

ზეიმობდა ღვინობისთვის სურნელით გაჯერებული ქალაქი

ღვინობისთვის თბილ სხივებში გახვეულა პატარა ქალაქი, ფუძეჩაყრილ, ტრადიციად ქცეულ დღესასწაულს „აბაშობას“ ზეიმობენ აბაშელები და მათი სტუმრები.

ღვინობისთვის სურნელით გაჯერებულ ქალაქში ისმოდა „ჰარირა“ და „ოდოია“, თვალმახარა გოგო-ბიჭების, კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლების ცეკვა და სიმღერა მსმენელსა და მაყურებელსაც აჯადოებდა.

დღესასწაულთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით სხვადასხვა საინტერესო ღონისძიება დილიდანვე იმართებოდა: გაიხსნა აღდგენილი სპორტკომპლექსი, განახლებული ცენტრალური სტადიონი, რომელთა სარემონტო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით აშენდა საბავშვო ბაღიც სოფელ წყემში.

ველომარათონში ჩაებნენ ახალგაზრდები თითქმის ყველა სოფლიდან, ულამაზესი სანახავები იყვნენ №1 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, რომლებმაც ტოლი არ დაუდეს დიდებს და თავიანთი ფერადი სამთვლიანი „ველოებით“ მარათონს შეუერთდნენ.

სახალხო დღესასწაულის მთავარი ღონისძიებები ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სახელობის ცენტრალურ პარკში გაიმართა, თითოეულმა სოფელმა თავისი კუთხე ნაირფერი შემოდგომის უხვი ნობათით გაავსო, მეგრული სამზარეულო და ხალხური რეწვის ნიმუშები მრავლად იყო წარმოდგენილი, საექსპოზიციო კუთხეები მოაწყვეს ორგანიზაციებმა, სუჯუნის დედათა მონასტერში შესრულებულ თექის ნამუშევრებს გვერდს ვერავინ აუვლიდა...

მნიშვნელოვანია, რომ ყოველ „აბაშობის“ დღესასწაულზე საპატიო აბაშელები სახელდებიან, ამჯერად კი ეს ტიტული ოთხ მართლაცდა ღირსეულ პიროვნებას: ექიმს, მეურნეს, მასწავლებლებს ერგოთ. აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებლის მამუკა კვიტაშვილის ბრძანებით, „აბაშის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის“ წოდება მიენიჭათ **ნინა ჩიქოვანს** – აბაშის მუნიციპალიტეტში ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის; **ინეზა თოფურიას** – აბაშის მუნიციპალიტეტში ხანგრძლივი, ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის; **რაულ თოფურიას** – აბაშის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ამ დარგში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის; **გალაქტიონ კუციას** – აბაშის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის.

„აბაშობის“ დღესასწაულს ჰყავდა უამრავი საპატიო სტუმარი, მუნიციპალიტეტის მესვეურებთან ერთად, სხვადახვა მუნიციალიტეტების ხელმძღვანელები, რეგიონული პროექტების კოორდინირების სამსახურის უფროსი დავით კოდუა, გუბერნატორის აპარატის უფროსი ლაშა გვასალია და სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პოეტები, მხატვრები, მწერლები, ჟურნალისტები, აბაშის საპატიო მოქალაქეები ესწრებოდნენ. მათ აბაშელებს დღესასწაული მიულოცეს და ტრადიციული კერძები დააგემოვნეს მასპინძლებთან ერთად.

„აბაშობამ“ საკმაოდ ემოციურად, ამაღლებული განწყობით ჩაირა.

სცენაზე ერთად ავიდნენ აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი **მამუკა კვიტაშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ქურდოვანიძე**. რომლებიც მიესალმნენ და სახალხო დღესასწაული მიულოცეს აბაშელებსა და სტუმრებს.

დასრულდა ზეიმი, რომელიც აბაშელთა საყვარელ დღესასწაულად დამკვიდრდა. ამ დღეს ყოველთვის უდიდესი სიხარულით ელოდებიან აბაშაში.

თითოეულ აბაშელს ვულოცავთ ამ დღესასწაულს, მშვიდობა, ერთიანობა, სიკეთე და სიყვარული არ მოაკლოთ უფალმა.

ვერიკო ჯიბლაძე.
აბაშა-თბილისი

◎ კალათბურთი

შენგელია ისევ დაშავებულია, პულენმა სტამბოლში გაილაღა

ევროლიგის მე-3 ტურში ტრავმირებული თორნიკე შენგელიას „ლაბორალ კუჩა“ საფრანგეთში „ლიმოჟს“ ესტუმრა და მასპინძლები 107:71 გაანადგურა.

ბასკური კლუბის რიგებში 10-ქულიან ზღვარს 4 კალათბურთელი ასცდა: დარიუს ადამსი (18), ფაბიენ კოსიე (16), კორბაჩო (14) და მაიკ ჯეიმსი (12). ამ გამარჯვების წყალობით „ლაბორალ კუჩა“ B ჯგუფის სათავეში მოექცა, მომდევნო შეხვედრაში კი 5 ნოემბერს „ანადოლუ ეფესს“ უმასპინძლებს.

საინტერესოა, რომ თურქული კლუბი სტამბოლში ხორვატულ „ცედევიტას“ დაუხვდა და სენსაციური მარცხი (75:81) განიცადა, რაშიც ჯეიკობ პულენმა დიდი წვლილი დაიდო.

ამერიკელმა გამთამაშებელმა, რომელიც 2015 წლის ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა, სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 18 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 2 პასი მიითვალა.

პულენმა 8-დან 4 ორქულიანი, 5-დან 2 სამქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 3-ჯერ დაკარგა, 3 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

ჯეიკობის მოედანზე ყოფნის პერიოდში „ცედევიტამ“ მეტოქეზე 14 ქულით მეტი ქულა ჩააგდო, რაც ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

ისიც ვთქვათ, რომ ხორვატული კლუბიდან მხოლოდ 8 კალათბურთელი დაიტვირთა, გადამწყვეტი კი ბოლო მეოთხედი აღმოჩნდა, რომელიც სტუმრებმა 27:17 მოიგეს.

„ცედევიტას“ 1 მოგება და 2 მარცხი მოუგროვდა და B ჯგუფში მე-3 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი 5 ნოემბერს მილანში „ემპორიო არმანისთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტოსპორტი

ჰამილტონისთვის სენასთან გაჭოლება საკმარისია

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონის მესამე ტიტული მოიპოვა, ლუის ჰამილტონმა განაცხადა, რომ ერთადერთი, ვისი მიღწევების — სამი ტიტულის მოპოვების, გამეორებაც სურდა, აირტონ სენა იყო და ახლა აღარავინ არის ისეთი, ვისთან გატოლებასაც ისურვებდა. ბრიტანელმა მრბოლმა მსოფლიო ჩემპიონობა მას შემდეგ გაინაღდა, რაც ოსტინში აშშ-ის დიდი პრიზი მოიპოვა. ეს მიმდინარე სეზონში მისი მე-10 მოგებული რბოლაა.

„სებასტიან ფეტელი გერმანელია და მას, ალბათ, სხვა ამბიციები აქვს. ჩემთვის კი ეტალონი ყოველთვის აირტონი იყო და მის მსგავსად სამი ტიტულის მოგება მინდოდა. ის არ იყო ჩემი ქვეყნიდან, მაგრამ ეს იყო ადამიანი, ვინც პატარაობიდან აღმაფრთოვანებდა და სწორედ მისი შთაგონებით დავიწყე რბოლებში მონაწილეობა. არ ვიცი, რას მივაღწევ მომავალში, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ აღარავინაა ისეთი, ვისი მიღწევების გამეორებას, ან გაუმჯობესებას ვისურვებდი. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს აირტონისგან მივიღე ესტაფეტა და მას მანამ ვატარებ, სანამ შევძლებ“, — განაცხადა ჰამილტონმა, ვინც მხოლოდ მეორე ბრიტანელია, ვინც სამგზის მსოფლიო ჩემპიონი გახდა. შეგახსენებთ, რომ პირველმა ეს სერ ჯეკი სტიუარტმა შეძლო.

ბრიტანელი პილოტი ამბობს, რომ თავისი ემოციების სიტყვებით გადმოცემა უჭირს. მისი თქმით, აირტონ სენა ახლაც მისთვის კერპია და ასე იქნება ყოველთვის: „წარმოუდგენელია, სიტყვებს ვერ ვპოულობ. ვიხსენებ ჩემს პირველ გამოსვლას ბრიტანეთის ჩემპიონატში, მახსოვს, როგორ ვმღეროდით მე და მამაჩემი „ჩემპიონზს“. სიგიჟეა, როცა გავიფიქრებ, რომ ფ1-ის სამგზის ჩემპიონი ვარ“.

ბადრი იაშვილი

◎ სამი თვეც საძმეა

ქართველი მოჭიდაველები თანამედროვე სტანდარტებით გარემონტებულ დარბაზში ივარჯიშებენ

საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის „თბილისი 2015“-ის ფარგლებში აშენებულ ფრენბურთის არენაში (დიღომი, ახალ ამერიკის საელჩოსთან) ივარჯიშებენ.

ოლიმპიური ობიექტი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად არის გარემონტებული და აღჭურვილი. მოსასვენებელი ოთახები, სველი წერტილები,საშხაპეები და გათბობა სპორტსმენებისათვის კარგ პირობებს ქმნის. არენა 6 საჭიდაო ხალიჩას იტევს.

თუმცა, თბილისის მერიამ აღნიშნული ობიექტი ჭიდაობის ფედერაციას მხოლოდ 3 თვის ვადით დაუთმო, რაც ქართველმა მოჭიდავეებმა საქართველოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად უნდა გამოიყენონ. ეს ტურნირი, სავარაუდოდ, 8-12 იანვარს გაიმართება ორივე სტილში.

მოახლოებული რიო დე ჟანეიროს ოლიმპიური თამაშებისათვის და საერთაშორისო ტურნირებისათვის მსგავსი თანამედროვე ტიპის არენაზე ქართველი მოჭიდავეების მომზადება კიდევ უფრო დიდ შედეგს გამოიღებს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

ფედერერი მეოთხედფინალშია

დიდი სლემის 17-გზის ჩემპიონმა როჯერ ფედერერმა მშობლიური ბაზელის ტურნირის 1/8-ფინალში გერმანელი ფილიპ კოლშრაიბერი 6:4, 4:6, 6:4 დაამარცხა. შეხვედრამ საათსა და 40 წუთს გასტანა. სამივე სეტის ბედი თითო ბრეიკმა გადაწყვიტა. ფედერერმა 13 ეისი ჩააწოდა და 2 ორმაგი შეცდომა დაუშვა, ხოლო კოლშრაიბერმა 11 ეისი მოაწოდა და არც ერთი ორმაგი შეცდომა არ დაუშვია.

1/4-ფინალში როჯერი ბელგიელ დავიდ გოფინს დაუპირისპირდება. ურთიერთშეხვედრებში ფედერერი მეტოქეს 2:0 ამარცხებს.

ბაზელის ტურნირი როჯერ ფედერერს 6-ჯერ აქვს მოგებული (2006, 2007, 2008, 2010, 2011, 2014).

ტურნირის საპრიზო ფონდი 2 მილიონ ევროს შეადგენს.

გიორგი ზოთაძე

მილოცვა

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადების 70 წლისთავს ულოცავს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს თავისუფალ ჭიდაობაში, ღირსეულ მამულიშვილს ბოგა ნიპარიშვილს, უსურვებს ბედნიერებას და დღეგრძელ სიცოცხლეს!

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის სახელით, ვიცე-პრეზიდენტი
ვლადიმერ კანკავა

◎ გულმა გული იცნო

სოფო გურამიშვილი ჰოლანდიაში გათხოვდა

ძალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატი სოფო გურამიშვილი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოჭადრაკეზე, ჰოლანდიის სახელით მოასპარეზე ანიშ გირზე დაქორწინდა.

შეგახსენებთ, რომ გირი მამით ნეპალელი და დედით რუსია. იგი საერთაშორისო დიდოსტატი 14 წლისა და 7 თვის ასაკში გახდა. ამჟამად საერთაშორისო რეიტინგში მაგნუს კარლსენის(ნორვეგია), ჰიკარუ ნაკამურას(აშშ), ვესელინ ტოპალოვის (ბულგარეთი) და ვიშვანათან ანანდის (ინდოეთი) შემდეგ გირი 2798 ქულით მეხუთე ადგილზე იმყოფება.

კოგა კოგაახიძე

◎ ინტერნეტიდან

რამ გაანაწყენა ფერნანდო ტორესის ცოლი?

ასეთია ცხოვრება — აღმართს დაღმართი მოსდევს, ბედნიერებას კი — ჩხუბი და აყალმაყალი... ვინ წარმოიდგენდა, რომ ვეტერანი ბურთის მგორებლის — ფერნანდო ტორესის საათივით აწყობილი ცხოვრება და ოჯახური იდილია საფრთხის წინაშე დადგებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ფერნანდოს ცხოვრების ამბებზე კინაღამ დიდი სკანდალი გამოიძერწა.

ტორესის მოდელი ცოლი ოლაილა დომინგესი რაც თავი გვახსოვს, სულ იმას იძახდა, ჩემი ქმარი მიყვარს, ბოლომდე ვენდობი მას და ვერა ძალა ვერ ჩამიდებს გულში ეჭვებსა და მყრალ ფიქრებსო, მაგრამ „ყვითელი“ პრესის ერთი მიჭყლეტილი სტატიის გამო ტორესების ოჯახური იდილია კინაღამ ხუხულასავით ჩამოიშალა.

ერთი სიტყვით, გავრცელდა ჭორი, რომ ფერნანდოს დიდი ხნის განმავლობაში საიდუმლო საყვარელი ჰყავდა და ამის შესახებ თითქოს სხვებიც საუბრობდნენ, რამაც ოლაილა დომინგესი ჭკუიდან გადაიყვანა და ოფიციალურად ქმართან გაყრაც კი მოითხოვა. თუმცა, რაღაც ჩვენთვის უცნობი „მანქანებით“ ტორესმა ოლაილას დამშვიდება შეძლო. საინტერესოა, როდემდე?..

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სულიერება

წმინდა მამა გაბრიელი — არქიმანდრიტი, აღმსარებელი და სალოსი

2 ნოემბერს საქართველოს მართლმადიდებული წმიდა სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს დიდი ქართველი ღირსი მამის, აღმსარებლისა და სალოსის, არქიმანდრიტის გაბრიელის ხსენებას.

... ბავშვობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე, დაიბადა თბილისში, 1929 წლის 26 აგვისტოს. პატარა გოდერძი ჩვილობაშივე მონათლეს წმინდა ბარბარეს ტაძარში. მისი ნათლია იყო ყოფილი მოწყალების და თამარ ბეგიაშვილი. დაახლოებით 2 წლის ყოფილა, როცა მამა მოუკლავთ. დედა – ბარბარე (შემდგომში მონაზონი ანა), 14 წლის გათხოვილა. პირველი ქორწინებიდან სამი შვილი – ემა, მიქაელი და გოდერძი ჰყოლია. როცა მეუღლე მოუკლეს, 22 წლისა იყო. ახალგაზრდა უმწეოდ დარჩენილმა ქვრივმა ხორცკომბინატში, ორ ცვლაში დაიწყო მუშაობა, რათა შვილები გამოეკვება. შემდეგ კი მეორედ გათხოვდა, სადაც შეეძინა მეოთხე შვილი – ჯულიეტა.

პატარა გოდერძი ბავშვობიდანვე ღვთის რჩეული იყო. არ უყვარდა თანატოლებთან თამაში. იჯდა მარტო და ფიქრობდა. როცა 4 წლისა ყოფილა, ლამაზი კენჭებისგან სახლებს აშენებდა, შიგ ასანთის ღერებს არჭობდა და ამბობდა: „ეს პატარა სახლები ეკლესიებია, ასანთის ღერები კი სანთლები“...

სკოლაში 6 წელი ისწავლა. დრო სკოლის საგნებისთვის თითქმის არ რჩებოდა, რადგან მთელი დღეები სახარებას კითხულობდა. მღვდელიც მოძებნა, რომელმაც, წიგნები და ლოცვები მისცა, თანდათან მორწმუნე მრევლიც გაიცნო...

მამა გაბრიელი იგონებდა: „ერთხელ, სახლის აივანზე ვიჯექი, როცა რაღაც ხმამ მიკარნახა, „ცას ახედეო“. ავდექი, აივნის ნაპირთან მივედი, ავიხედე და ვხედავ, ცაზე დიდი, ნათლით მოსილი ჯვარი იყო გამოსახული. მაშინ ვერა, ახლა კი ვიცი, რომ ეს ჯვარი იყო“.

ღვთივსათნო ცხოვრებით საღმრთო გამოცხადების მადლი მიენიჭა. მეორე მსოფლიო ომის დროს ხალხი მასთან მიდიოდა, იქნებ, დაკარგული ახლობლების თაობაზე რაიმე გვითხრასო. 12 წლის ბავშვი კი ყველას ამშვიდებდა და უქადაგებდა: „ეკლესიაში იარეთ, ქრისტეს არ მოწყდეთ და სულის ცხონება არ დაკარგოთო“.

ადამიანები თავისებურად პატივს სცემდნენ და მადლიერებას გამოხატავდნენ, რის გამოც, ხანდახან, უბანში, გამოსაჩენ ადგილას მტვერსა და ნაგავში ჩაჯდებოდა და თავის თავს ეუბნებოდა: „არ დაგავიწყდეს, რომ ეს ნაგავი ხარ და თავი დიდი ვინმე არ გეგონოსო“.

1971 წლის 14 ოქტომბერს მამა გაბრიელი ფეხით გაემგზავრა მცხეთაში, პატრიარქმა ეფრემ II ჰკითხა, იყო თუ არა მზად ზიარებისთვის. თანხმობა რომ მიიღო, აკურთხა რომ, ეწირა. წირვის შემდეგ მიტროპოლიტ ილიას (შემდგომში პატრიარქი ილია II) თანხმობით სემინარის მოძღვრად დანიშნეს.

მოგვიანებით მამა გაბრიელმა სხვა ღვაწლი იტვირთა, მას 1987 წელს უფლისგან ჩვენება მიუღია, სამთავროში ხალხისთვის ემსახურა...

1995 წლიდან ჯანმრთელობა შერყეული მამა გაბრიელი ბავშვური სიხარულით ესაუბრებოდა კელიაში მისულ ადამიანებს; ის ანდერძისამებრ დაასაფლავეს...

სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II სამთავროს მონასტერში ბრძანებდა: „ჩვენ ბევრი წმინდანი გვყავს, მაგრამ მამა გაბრიელი ძალიან განსხვავებულია... მამა გაბრიელისადმი პატივისცემა და თაყვანისცემა საყოველთაოა, უცხოელებიც კი მოდიან და პატივს მიაგებენ მას“.:

მამა გაბრიელი განსაკუთრებულ სიყვარულს ატარებდა და ამბობდა, მეორედ მოსვლის ჟამს ის ადამიანები დაუსხლტებიან ანტიქრისტეს ბადეს, რომელთაც ექნებათ ნამდვილი ქრისტიანული სიყვარულიო. მამა გაბრიელი თვითონაც სიყვარულის დიდი მოძღვარი იყო.

შეგვეწიოს ამ დიდი წმინდანის მადლი!

გიული ლიპარტია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება სამძიმარს უცხადებს სწავლულ მდივანს ლუიზა ფუტკარაძეს ძმის

გურამ ლაზარაშვილის

გარდაცვალების გამო.

შვილები თამუნა, ლევან ბზვანელები, ძმა ალეკო მაკარიძე, შვილიშვილები მაკა, გიორგი, ნატუკა, ნინანო, რძალი ლელო ჭიჭინაძე, სიძეები დათო თავამაიშვილი, ვახტანგ ლაღიძე, შვილთაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამილა მაკარიძე

პანაშვიდი 31 X, 16 სთ. მისამართი: ნასიძის 17ა. გამოსვენება 1 XI, 14 სთ. დიდუბის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრიდან.

თამაზ ცინცაძე, გურამ ბაკურაძე ოჯახებით იუწყებიან გურამ ბზვანელის მეუღლის, არაჩვეულებრივი პიროვნების

თამილა მაკარიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

◎ სკანდალური კარიკატურა

„ღვთისმშობელი თავს იკლავს ილიაუნში“

სულ ცოტა ხნის წინათ სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, რომელიც ილიაუნშია (ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში – რედ.) გა-

დალებული და მასზე ღვთისმშობელია გამოსახული. ნახატზე ღვთისმშობელი თავს იკლავს. როგორც ფოტოს გამომქვეყნებელმა განგვიცხადა, ნახატი ლია უკლებას ეკუთვნის და ის ილიაუნში 24-25 ოქტომბრის კონფერენციის ფარგლებში გამოფინეს.

თვითმკვლელ ღვთისმშობელს ბევრი გამოხმაურება მოჰყვა, სტუდენტები აღშფოთდნენ.

როგორც კომენტარებიდან ირკვევა, ეს დირბის ღვთისმშობლის კარიკატურაა, რომელიც ავტორმა 17 მაისის მოვლენებს მიუძღვნა.

ბერდია ბერიძე, სტუდენტი: „ღვთისმშობელი თავს იკლავს ილიაუნში...

გასაგებია, რომ ვსწავლობთ ლიბერალურ უნივერსიტეტში, თუმცა რელიგიური სიწმინდეების შეურაცხყოფა ჩემთვის იგივე გაუნათლებლობა და უგუნურებაა, როგორც რელიგიური ფანატიზმი, რელიგიისა და მამაოების გაფეტიშება. უბრალოდ, არ შეიძლება სხვის სიწმინდეს ასეთი სახით შეეხო. არ ვიცი სურათის შინაარსი, თუმცა ფორმა მიუღებელია ჩემთვის და ბევრი სტუდენტისთვის. სამწუხაროა, რომ ილიაუნში ხდება ეს“.

თამარ ბოჭორიშვილი

◎ ამინდი

შაბათ-კვირას საკმაოდ აცივდება

1-2 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურის დაცემაა მოსალოდნელი, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან აცნობეს.



1 ნოემბერს დღის განმავლობაში ჰაერის მაქსიმალური ტემპერატურა ბარში მოსალოდნელია +3, +8, მთაში +1, +6, მაღალმთაში - 4, +1 გრადუსის ფარგლებში.

1 ნოემბერს ღამის საათებში აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია წვიმა, მთაში ზოგან თოვლი. 2 ნოემბერს ღამის საათებში ჰაერის მინიმალური ტემპერატურა აღმოსავლეთ საქართველოს ბარშიც შესაძლოა -1 გრადუსამდე დაეცეს. 3 ნოემბრიდან გამოიდარებს და ჰაერის ტემპერატურა მოიმატებს.

◎ წერილი რედაქციას

დაცული უნდა იყოს თუ არა თბილისი წყალმოვარდნებისა და ღვარცოფებისგან?

არ იქნება საქართველოში (და არა მარტო საქართველოში) ადამიანი, რომელიც ამ კითხვას დაუფიქრებლად არ უპასუხებს – დიახ, დაცული უნდა იყოს!

ვინ და როგორ უნდა აარიდოს თბილისს წყალმოვარდნები და ღვარცოფები, თუ არა ჰიდრომშენებლებმა, რომლებსაც მოუთვინიერებიათ ენგური, არაგვი და სხვა მდინარეები?

ვარ რა დამოუკიდებელი ექსპერტი ელექტრომშენებლობაში და მონაწილეობა მიმიღია ენგურჰესის და ჟინვალჰესის მშენებლობებში, ჩემი და ჩემი ჯგუფის სამსახური შევთავაზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მართვის მინისტრს ბატონ გიგლა აგულაშვილს, რომელმაც დამავალა, რომ გასატარებელი ღონისძიებების სქემატური ნახაზი წარმედგინა მისთვის.

სქემატური ნახაზი კაშხლის განთავსების ადგილის ჩვენებით, წყალსაცავის მოცულობის განსაზღვრით წარვადგინეთ სამინისტროში. კაშხლის სიმაღლე შერჩეული გვაქვს ისე, რომ მდინარე ვერეს ყოველგვარი კატასტროფული წყალმოვარდნისას წყალსაცავი მთლიანად მიიღებს მას, ჩააქრობს მის ენერგიას და დროთა განმავლობაში გაატარებს მხოლოდ იმ რაოდენობის წყალს და მის ნატანს, რაც მდინარის უმნიშვნელო ადიდებასაც არ გამოიწვევს თბილისის უბანზე.

ჩვენი პროექტი დასკვნისთვის გადაეგზავნა გარემოს დაცვის ეროვნულ სააგენტოს, საიდანაც მოგვწერეს, რომ „კაშხლის აგება დადებითი შედეგის მომტანია“.

პროექტი შემდგომი ფორმირებისათვის, გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად საჭირო დაფინანსების მოსაპოვებლად, წარვადგინეთ თბილისის მერიაში (საზოგადოების მიერ ამ მიზნისათვის შექმნილ ფონდს მერია განკარგავს).

მერიის არქიტექტურის სამსახურმა ჩვენი პროექტი ცნობად მიიღო, ხოლო როცა მერთან შეხვედრა მოვითხოვეთ, ისევ არქიტექტორებმა მიგვიღეს და გაგვიცხადეს, ამ საქმეში მერიის არქიტექტურის სამსახური არაფერ შუაშიაო.

როგორც საინფორმაციო საშუალებებით ჩვენთვის გახდა ცნობილი, მსოფლიო ბანკმა გამოყო ინვესტიცია დამბის ასაშენებლად და როგორც ყოველთვის ხდება, გამოყოფილ ინვესტიციებს მოყვება მოთხოვნა, რომ დამბის ასაშენებლად საჭირო თანხაზე ორჯერ და სამჯერ მეტი „ატკატები“ უნდა დაუბრუნდეთ მათ, ხოლო ბიუჯეტის მშენებლობის ხარისხი მიფუჩჩდეს.

გვაინტერესებს, საიმედოდ დაცულნი უნდა იყვნენ თუ არა თბილისის ამ უბანში მცხოვრები მოქალაქენი?

შეიძლება, ამ მიზნისთვის შეგროვილი თანხებით კვლავ მოგებაზე და ხელის მოთბობაზე იფიქროს მავანმა?

ამ საკითხის მიმართ ჩვენი საზოგადოების, თბილისელების დაინტერესების იმედი გვაქვს!

ნუგზარ კოგახიძე,
დამოუკიდებელი ექსპერტი ჰიდრომშენებლობაში

„რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა!“

ნაციონალებო და რუსთავორელებო! — მართლაცდა, რა გიყოთ და რას დაგამსგავსათ ამ მამაძაღლმა და არამზადა პოლიტიკურმა მანიაკმა სააკაშვილმა, ნუთუ ვერ ხვდებით, როგორ ჩამოყალიბდით ერისა და ქვეყნის, ხალხისა და სამშობლოს გამყიდველებად, მოღალატე კრიმინალურ ბანდად, ქართული სახელმწიფოს ძირგამომთხრელ, ბოროტ ძალად!

* * *

„ქართული ოცნების“ კოალიციურო ხელისუფლებავ! ახლა მაინც ირწმუნეთ, რომ სანამ ნაციონალები დაძრწიან ქართველთა სულებში, ძალადობენ და ავყიაობენ მსოფლიოს გასაგონად, ჩვენს ბედკრულ ქვეყანას დამშვიდება და დალაგება არ უწერია, რაიმე წინსვლასა და გაძლიერებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

ბოლოს და ბოლოს, მოაშორეთ ქვეყანას საუკუნის ბოროტება — „ნაციონალური ჭირი“.

* * *

დღეს კიდევ ერთხელ გთავაზობთ გამოჩენილი ქართველი პოეტის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარეს“ დამფუძნებლისა და თავმჯდომარის რეზო ამაშუკელის ჩვეული სარკაზმით აღსავსე შეფასებებს ქვეყნის დამაქცევარ ბაღვაშებსა და ფარსადანებზე!..

არ დაგავიწყდეთ, რომ „სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა“ და მაინც სიცილი, ამაღლებული განწყობა და სიმხნევის წამალია... დღეს ხომ განსაკუთრებით გვჭირდება მხნეობა, იმედი და გადარჩენის რწმენა.

შეგახსენებთ, რომ ორშაბათს, 2 ნოემბერს რუსთაველის სახელმწიფო, აკადემიურ თეატრში გაიმართება „ლაზარეს“ წევრთა და მხარდამჭერთა საგანგებო შეკრება ერისა და ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებზე სასაუბროდ.

სპარტაკ ქოზულია

მიხეილ სააკაშვილი — ქალის ჰორმონებით გაძეძგილი „გარეკილ პირველი“ (ახლანდელი მდგომარეობით) — საროსკიპოდან გაგდებული ბოზანდარა;

გიორგი მარგველაშვილი — „კარალევა მარგო“, მთავარ-სარდელი, ბიოცისტერნა;

ნუგზარ წიკლაური — სახალადეცე ღორის თავი;

აკაკი ბობოხიძე — ხონელი ჟირინოვსკი;

გივი თარგამაძე — რახიტიანი პედოფილი, რომელსაც პირი არ აქვს და მაინც ლაპარაკობს;

გიგა ბოკერია — მაძღარი პითონი, გასაჭყლეტად გამზადებული ბაყაყი;

თამარ ჩერგოლეიშვილი — მანგუსტა;

აკაკი მინაშვილი — გველით გამაძღარი ზოოპარკის ბუ, ჯოხზე წამოცმული ცხენის თავი;

ზურაბ ჭიაბერაშვილი — ფრანგული ბულდოგი;

გიორგი ახვლედიანი — ნასოსით გაბერილი;

ირმა ნადირაშვილი — ანტიბაქტერიული რეკლამის მოხტუნავე ჯოჯო;

ზურაბ ადეიშვილი — წრუწუნა;

შოთა უტიაშვილი — ლამანტინი (ზღვის სპილო);

ეკა კვესიტაძე — ვენახის კალია;

დიმიტრი შაშკინი — სააკაშვილის არღნის ჩიტი;

გოგა ონიანი — ახალშობილი ბეჰემოტი;

ჩიორა თაქთაქიშვილი — წვერებამოუპუტავი ბოლოქანქარა;

გიორგი თარგამაძე — ჰალსტუხიანი ხვლიკი;

შოთა მალაშხია — ბაკნიდან ამომხტარი კუ;

პავლე კუბლაშვილი — მოლაპარაკე თავი;

კოტე კუბლაშვილი — მარსიანელი;

გრიგოლ ვაშაძე — ულვაშიანი „ტარაკან პრუსაკი“, ნინო ანანიაშვილზე გათხოვილი;

გიორგი ვაშაძე — ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილი ფრინველი;

გოგა ხაჩიძე — შოკოლადით მოდღუღული მინდია;

გია ნოდია — წვერებიანი ბებია, საავადმყოფოდან სუდნოების გამტანი ქალი;

დავით ბაქრაძე — ქორწილის „კუკლა“, რომელიც უკნიდან იქოქება;

დავით დარჩიაშვილი — ჭუჭყიანი შომპოლი;

თეა თუთბერიძე — ჯოჯოხეთიდან ამორწყეული სიმახინჯე;

გიორგი კანდელაკი — წარბებგადაბმული მატლი, მიტოვებული რკინიგზის ტუალეტის ბუზი;

გოკა გაბაშვილი — გველიჭამია ბუ;

კოტე გაბაშვილი — დეზერტირების ბაზრის კონტროლიორი;

გურამ ჩახვაძე — მისი დახასიათება პირდაპირ თხოულობს რითმას: ბლანჟეიანი ჩახვაძე, თანახმა არის ჩახდაზე;

ნანუკა ჟორჟოლიანი — რუსთავი 2-ის ოლეგ პაპოვი;

თეონა გეგელია — დასაპეპლად გამოკიდებულ მამალს გამოქცეული გაწუწული ქათამი;

მარინა ბერიძე — ქართული ესტრადის „მამაშა“, შავი ობობა ტარანტული;

ზურაბ ჯაფარიძე — გატრუსულ წამწამებიანი გოჭი;

უჩა ნანუაშვილი — კაბუკის თეატრის ნიღაბი;

გია თორთლაძე — დაჭმუჭნული ქაღალდი;

ალექსანდრე ხეთაგური — ჯიბის ფანარი;

დავით პაიჭაძე — რეზინის ვენტილატორი, რომელსაც ბუდას ქანდაკებაზე დიდი ყურები აქვს;

ლევან რამიშვილი — შავი ალბინოსი;

ლაშა ბაქრაძე — თამარ ჩერგოლეიშვილის იღლიის მატლი;

ფიქრია ჩიხრაძე — „ბატი ტასიკო“;

გიორგი პაპუაშვილი — ყასაბი;

სერგი კაპანაძე — წვერებიანი ბეკეკა;

ლევან თარხნიშვილი — ავსტრალიელი აბორიგენი, რომელსაც გვერდით კენგურუ აკლია, ხოლო იღლიაში — ამოჩრილი სპილოს ძვალი;

მიშა თავხელიძე — იქედნეს მწვანე კვერცხი;

პაატა შამუგია — სამტრედიელი ქოჩორა ქათამი;

ირაკლი ალასანია — ხალებიანი ირემი;

თემურ იაკობაშვილი — მაცივრების ბარიგა, ნაციონალების „ყარაბას-ბარაბასი“;

ნიკა გვარამია — „წითელტუფლებიანი“ სამხრეთ-აფრიკული პინგვინი;

თენგიზ გოგოტიშვილი — ოფისის „დვარნიაშკა“;

გიორგი გაბუნია — „კონჩიტა ჯულიეტოვნა“;

ინგა გრიგოლია — პომადიანი ბულდოგი.

◉ ცინცხალი ანეკდოტები

— ამ ბოლო დროს რატომღაც ქალებში არ მიმართლებს.
— მკითხავთან იყავი?
— ვიყავი, მაგრამ არც ის დამნებდა!..

* * *

— ღვინიაშვილო, რატომ მოხვედი ასე გატიალებული სამსახურში? ალბათ, შაბათ-კვირას გადაბმულად სვამდი, არა?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ვსვამდი! და ნორმალური ანაზღაურება რომ მქონდეს, მისატანებელსაც დავაყოლებდი!..

— ხომ ვერ მეტყოდით, სად მდებარეობს ციმბირი?
— აზიაში.
— რანაირად შეიძლება იქ მოხვედრა?
— უმჯობესია, სასამართლოს გავლით.

* * *

— არ გეჩვენება, რომ ჩვენი შეფი, ცოტა არ იყოს, შერეკილია?
— საიდან დაასკვენი?
— გუშინ სამჯერ შემეკითხა რატომ ზარმაცობ და არ მუშაობო?

* * *

ერთკვირიანი შიმშილობის შემდეგ ლომმა, ბოლოს და ბოლოს, აღიარა, რომ ზოოპარკის დარაჯი მხეცთა მეფეა.

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

◉ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“
გრ. რობაქიძის №7

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე